წვლიწადი მეშვიდე.

საქართველო ეროვნულ ყოფილება

თეთრი გიორგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარიზი
ივნისი ივლისი 1932 წელი
N° 53-54

ქართველ პატრიოტთა ორგანო

Journal de l'Organisation des Patriotes Géorgiens «THETHRI GUIORGUI»

Rédaction : THETHRI GUIORGUI, 11, Porte Champerret, Paris XVII

რედაქტორი მ. წერეთელი. Le Directeur : M TSERETHELI

Paris
Juin-Juillet 1932
No 53-54

ძვირფასს...

განვლო ორმა წელმა, რაც უცხოეთში მივაბარეთ მიწას ჩვენი ქაქუცა...საქართველოს შავ-ბნელი ღრუბლით მობურვილ ცაზედ ჟამით-ჟამამდე აღმობრწყინდება ხოლმე შუქურა ვარსკვლავი და თავის შუქს მოჰფენს ქართველის დაწყლულებულს გულს...მოსწყდება ცას ეგ ვარსკვლაეიც და გადაეშვება დაუსრულებელს სივრცეში, მაგრამ არა ოდეს უფსკრულში... არამედ დაუსრულებელ სივრცეში, საქართველოსავე სულში და იქ რჩება სამუდამოდ, იქ კვლავ განაგრძნობს ბრწყინვალებას, შუქმფრქვეველობას. ქაქუცა ეს იმედის ვარსკვლავია,რომელიც ჩაესვენა საქართველოს სულიერ სივრცეში...

მაგონდება: ქაქუცას ცხედარს თავს ადგენ და დაუსრულებლად მჭერმეტყველებდენ,-ზოგნი თნეობითაც კი...იქვე ხის ძირში ორი ახალგაზრდა ხელი-ხელს ჩაკიდებული იდგა და მწარედ, გულამომჯდარი ქვითანებდა: რა უბედურნი, უიღბლონი ვართ, ვერც იქ ვნახეთ და ვერც აქ ვეღირსეთ ბელადის ნახვასაო!..ცხარე ცრემლები სდიოდათ თვალთაგან...რაოდენ გულწრფელი და წმინდა იყო ეგ ცრემლები, რა სათნო იყო იმ წამებში მათი მწუხარება, რა დიადი მათი ტანჯვა...

ვიგრძენი და ვიწამე, რომ ქაქუცა ჩასწვდა პატიოსანს, სპეტაკს და წრფელს გულს ახალგაზრდა ქართველისას, მან იმათ გულში, მომავალ ქართველ მებრძოლთა გულში, აიგო ხელთუქმნელი ძეგლი, ამათ გულში ჩამარხა საკუთარი სიყვარული სამშობლოსადმი. ვერავითარი ძალა ვერ აღმოფხვრის ამ მემკვიდრეობას, ამ დიდს და წმინდა სიყვარულს, ვერავინ დააგიწყებს ამ თაობას ბელადის გზას, მისი სისხლით და ტანჯვით მორწყულ-მოფენილს განვლილს ბილიკებს კახეთის მთა-ტყეებისას...

განისვენე მშვიდობით, ძვირფასო ბელადო და როდესაც დაჰკრავს ჟამი შფოთისა და მღელვარებისა, შენი აჩრდილი წინ აღგვიდგება და მაშინ «აღარ გარგებს, ჩვენო ქაქუც, ძილი აღარა»...

მაშინ-კი აღელვდი!აღელვდი! შენებურად, მძლავრად და ბრძოლის ყიჟინის ხმა მოგვაწვდინე მაგ შავ-ბნელ სამარიდანაც!

შეფიცულთ რაზმი სმენად არის ქცეული!

მეგობარი.

მსოფლიოში ნაციონალიზმი იმარჯვებს. 1)

მარქსიზმმა თავისი დრო მოიჭამა. დამარცხდა იგი თეორიულადაც და პრაქტიკაშიც. სანამ მარქსიზმი მხოლოლ განყენებული შემეცნება იყო და შორეული იდეალის მიმზიდველობა ჰქონდა, მან ევროპაში თვით გონებრივად მოწინავე წრეებითგანაც კი მრავალი ახალგაზრდობა მიიზიდა. ხოლო დაიწყო თუ არა მან პრაქტიკული მოქმედება, გაიფანტა ბურუსიც განყენებული იდეალისა, ლამაზი რიტორიკისა, და სახე მარქსიზმისა მთელი მისი მახინჯი სინამდვილით გამოაშკარავდა. გონებრივად მოწინავე საზოგადოება მყისვე ჩამოშორდა მას და ამ წრითგან მარქსიზმს მხოლოდ ის პირნი ღა შერჩენ, რომელთ იგი მინისტრ-დეპუტატობის მწვერვალოზედ ასასვლელ საფეხურად გაიხადეს.

თანდათან მრავალი მუშაც მიხვდა სოციალიზმის არარაობას და მისი მნიშვნელოვანი ნაწილიც გაუდგა მას. იტალიაში სამ მილიონზედ მეტი მუშა ფაშისტურ სინდიკატებში შევიდა; შეერთებული შტატების მუშებმა სოციალისტური ორგანიზაციები მთლიანად მიატოვეს; აგრეთვე გერმანიის პროლეტარიატიც თავს ანებებს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და მასსიურად გადადის ნაციონალისტურ პარტიებში.

მარქსიზმი დამარცხდა მეტადრე იქ, სადაც მას ჟამთა ვითარებამ სახელმწიფოს საჭეთმპყრობლობა არგუნა, სადაც მან გაიმარჯვა როგორც ხელისუფლებამ. სწორედ ამ გამარჯვებით გამომჟღავნდა მისი გაკოტრება როგორც სისტემისა, როგორც დოქტრინისა. გამარჯვებული, როგორც გაბატონებული ძალა, იგი დამარცხდა, და გაბათილდა, როგორც მოძღვრება. პოლიტიკურ, ეკონომიურ და სოციალურ დოქტრინათა სასომი პრაქტიკაა და ამ საზომმა დაუნდობლად ამხილა მარქსიზმის მავნებლობა; მოხსნა მას იდეალების ჩადრი და დაგვანახვა მისი ტიტველა სატანური სხეული სისხლის, გილიოტინების, ტერორის, ჩეკის, ვერაგობის, სიმშილ სიცივეკის და გარყვნილების კორტეჟით! დიახ, ცხოვრებამ მარქსიზმს უსასტიკესი მსჯავრი დასდვა!

საქართველოში მენშევიკები ხელის-უფლების თვითმპყრობელნი შეიქმნენ ამ სიტყვის მთელი დიქტატორული მნიშვნელობით. და ამ ბატონობას საქართველოს დამხობა მოჰყვა. ხოლო მსხვერპლად მენშევიკურ სისტემის ამნაირი დამარცხებისა არა მხოლოდ საქართველო, არამედ თვით მენშევიკური პარტიაც შეიქმნა. ეს სავსებით ბუნებრივია: როდესაც ცხოვრების სინამდვილის ასპარეზზედ პოლიტიკური პარტიის დოქტრინა ასე სასტიკად მარცხდება, მარცხდება და ირღვევა თვით პარტიული ორგანიზაციაც. საქართველოს ეროვნული შეგნების კოშკი მენშევიზმმა დაანგრია, მაგრამ ნანგრევებს თითონვე მოჰყვა ქვეშ და გაისრისა. ხოლო მარქსისტების მიერ ნანგრევებად ქცეული საქართველო კვლავ აღსდგება, მაგრამ მენშევიზმი კი საუკუნოდ დამარხულია. ამავე მიზეზით და იმავე შინაგანი განხეთქილების გამო დაიშლება კომუნისტური პარტია და წაირეცხება მასთან ერთად თვით კომუნიზმიც — მარქსიზმის ეს მეორე სახე.

ამასთანავე თანამედროვე მეცნიერებამ სავსებით დაამტკიცა, რომ მარქსის „ფილოსოფიურ“-„მეცნიერული“ დებულებანი ყალბნი და შემცდარნი ყოფილან.

გაბათილდა და დამარცხდა მარქსიზმი. მაგრამ ეს დამარცხება კაცობრიობის და ცივილიზაციის ნამდვილი გამარჯვებაა. კაცობრიობა იკურნება და მით სოციალისტური მიკრობებიც იძლიტება. გასაკვირველი ისაა, რომ დიდი ომის შემდეგ და დემოკრატიულ აწმყოში უფრო მეტად არ დასნეულდა და დავრდომილ არ იქმნა ევროპის საზოგადოებრივი სხეული და მარქსიზმმა უფრო ღრმად და უფრო ხანგრძლივად არ დააზიანა იგი. მაგრამ სჩანს, რომ თანამედროვე ცივილიზაციის დასასრულის ჟამი ჯერ არ დამდგარა და კულტურულსანი კაცობრიობის პოტენცია არ ამოწურულა. იგი გადახალისების გზაზედ სდგას: მან იპოვა ახალი და დიდებული გამოსავალი, ახალი წიაღი წარმატებისა და აღორძინებისა. ეს გახლავთ ინტეგრალური ნაციონალიზმი.

ეროვნული შეგნება, ნაციონალიზმი, როგორც გრძნობა, ისეთივე ძველია, როგორც საზოგადოება, ვინაითგან საზოგადოების ჩასახვისთანავე იწყება ეროვნული დიფერენციაცია. მაგრამ ნაციონბლიზმი, როგორც დოგმა, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიური და სოციალურ-ხნეობრივი მოძღვრება, მეცნიერულ-ფილოსოფიურ ნიადაგზედ დამყარებული, მეცნიერულად დასაბუთებული, ე.ი. ინტეგრალური ნაციონალიზმი სულ ახალი მოვლენაა. ასეთი ნაციონალიზმი გრანდიოზულ პერსპექტივას უშლის თვალ-წინ კაცობრიობას და საზოგადოების ენერგიას და გენიას უციდესს სამოქმედო ასპარეზს უმზადებს. ეს არის ახალი მსოფლიო, რომელშიც ახალი სიმტკიცით მოეწყობა კაკობრიობა, ე.ი. ერები, რომელთაგან იგი შესდგება. ამ ახალ მსოფლიოში განხორციელდება როგორც შინაგანი ეროვნული მთლიანობა, ისე საერთაშორისო სოლიდარობა. და როდესაც ასეთ შინაგან და გარეშე მშვიდობიანობის ატმოსფეროში დაცხრება,დაშოშმინდება დღეს აფორიაქებული კაცობრიობა, ადამიანის გენია მოიპოვებს თავისი გამომჟღავნების განუსაზღვრელ სარბიელს.

ინტეგრალური ნაციონალიზმის მეცნიერული განმარტება ამ წერილის საგანს არ შეადგენს. აქ მე მსურს მხოლოდ თვალ-საჩინო მაგალითებით დავანახვო მკითხველს ინტეგრალური ნაციონალიზმის პროგრესიული ზრდა და ძლიერება.

შორეულ აღმოსავლეთში ერთად-ერთი ძლიერი სახელმწიფო იაპონიაა და ამ უკანასკნელის ფსიქოლოგიური ვითარება და პოლიტიკური ორგანიზაცია ყოველთვის ეროვნული სახელმწიფოს ტიპს უახლოვდებოდა. დღეს კი ფაშიზმის გამარჯვებით იქ ეროვნული სახელმწიფო საბოლოოდ განმტკიცდა. ხოლო ის ფაქტი, რომ რუსეთის გავლენას შორეულ აღმოსავლეთზედ პატრიოტული იაპონია მანჯურიის ველებზედ წინ გადაეღობა, უსათუოდ მარქსიზმის დიდი მარცხი და ნაციონალიზმის გამარჯვებაა.

ინგლისში, ავსტრალიაში, კანადაში სოციალისტები უკიდურესად დამარცხდენ და ყველგან იქ პატრიოტულმა ელემენტებმა გაიმარჯვეს.

გერმანიაში იმარჯვებს ფაშიზმი და მათ კვალს მისდევს.

იტალიაში ხომ უკვე დიდი ხანია, რაც ნაციონალისტური სახელმწიფო დამყარდა.

დგება ახალი ხანა. იჭედება ახალი ტიპი საზოგადოებისა და ეს მსოფლიო აღორძინება ეროვნული სახელმწიფოს ნიადაგზედა ხდება. ჩვენ მტკიცედა გვწამს, რომ ინტეგრალური ნაციონალიზმი სავსებით გაიმარჯვებს, რათგან ხსნა კაცობრიობისა მის გამარჯვებაშია.

ლ. კერესელიძე.

1) ამ საკითხის შესახებ იხ.გაზ.თ.გ.ნომ. 48 49 ალ.მანველიშვილის სტატია: «სრული ნაციონალიზმის გზით».

1832 წლის შეთქმულობის ასი წლის თავი

1932 წლის 21 მაისს პარიზში ქართულმა პატრიოტულმა ორგანიზაციამ „თეთრმა გიორგიმ“ გადაიხადა 1832 წლის შეთქმულობის ასი წლის თავის დღესასწაული.

სადღმა გახსნა ჟენევითგან საგანგებოდ ჩამოსულმა „თეთრი გიორგის“ მთავარმა მდივანმა ღენ. **ლ. კერესელიძემ.**

შეთქმულთა ხსოვნას საზოგადოებამ ფეხზედ ადგომით პატივი სცა.

ლ. კერესელიძემ წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

„ჩემი სიტყვა მხოლოთ შესავალია იმისა, რაც აქ სხვათა მიერ იქმნება წარმოთქმული. მე მხოლოდ ზოგადად შევეხები 1832 წ. შეთქმულობასა და საქართველოს ისტორიის ამ მნიშვნელოვანი ეპიზოდითგან ორიოდე დასკვნას გამოვიყვან.

1802 წელს 8 მასსს ღენ. კნორინგმა თავი მოუყარა ჩვენს არისტოკრატიას და იმპერატორ ალექსანდრეს სახელით ბაგრატიონთა გვირგვინის გაუქმება და რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია გამოუცხადა.

შემზარავ გრგვინვად მოედვა საქართველოს ხმა ამ მოულოდნელი მუხანათობისა და მთელი ქართველობა ააღილვა და შეაშფოთა. „ღალატი! გვიღალატეს!“ გაიძახოდა ქართლ-კახელობა. „შავ ღალატს ტყვიითა და ხმლით უნდა გავსცეთ პასუხი!“ ხმას აწვდიდა ქართლ-კახეთს ამხედრებული თუშ-ფშავ-ხევსურეთი. რამდენიმე დღეში ჩვენმა ხალხმა იარაღი აისხა და ხეობითგან ხეობამდე გაისმოდა ლაშქართა შემკრები ძახილი ბრძოლის ბუკისა.

იელვა ხმაღმა, იჭექა თოფმა და რუს-ქართველთა შორის დაიღვარა პირველი სისხლი! ამხაირად ქართველ-რუსთა ურთი-ერთობას თავითგანვე ტრადიციად სისხლი დაედვა და სისხლივე გასდევს საშინელ წითელ ხაზად ამ ურთი-ერთობის მთელ ისტორიას. რასაკვირველია სისხლიანივე დრამით უნდა დამთავრდეს იგი: საბოლოოდ ან ჩვენი ეროვნული არსებობა, ან რუსთ ბატონობა უნდა ჩაიხრჩოს სისხლის მორევში.

1802 წ. აჯანყებით აიხადა ფარდა იმ შემზარავი ტრაგედიისა, რომელიც დატრიალდა საქართველოს მიწაზედ და მთელი 30 წლის განმავლობაში ჩვენი სამშობლო ომის ცეცხლსა და კორიანტელში გახვია. ხოლო ამ 30 წლის თავგანწირული ბრძოლის აპოთეოზი კი 1832 წლის შეთქმულობის დამარცხებაა. ამ აპოთეოზით დასრულდა პირველი პერიოდი ქართველი ერის მხედრული ბრძოლის რუსთ ბატონობისა წინააღმდეგ.

1832 წლის შეთქმულობას ორი დიდი მნიშვნელობა აქვს. უპირველესად ის, რომ იგი საზომია ქართველი ხალხის ენერგიისა. მიუხედავად იმისა, რომ მთელი 30 წლის განმავლობაში ჩვენმა ერმა უსასტიკესი ბრძოლის ქარ-ცეცხლში გაიარა, რომ რუსებმა ათჯერ დაანგრიეს, გადაბუგეს და ააფორიაქეს მთელი საქართველო; რომ კერძოდ კახეთი სამჯერ ისე გადასწვეს, რომ არც ერთი სახლი საფუძველზედ აღარ იდგა; რომ რჩეული ქართველობა ათასობით გაქალიტეს ან გააციმბირეს; დიახ, მიუხედავად ყოველივე ამისა, 1832 წლის შეთქმულობა მოწმობს,რომ ქართველ ერს მაინც შერჩენოდა ეროვნული ენერგია და ერთხელ კიდევ შეეცადა იგი გაბატონებულ მტერს იარაღით ხელში შებრძოლებოდა. ეს მოვლენა ჩვენთვის უმაღლესად საამაყოა. ეს შეთქმულობა თუმცა დამარცხდა, მაგრამ ქართველთათვის მას მაინც უნაყოფოდ არ ჩაუვლია. თავისუფლებისათვის მებრძოლი ერის საბოლოო გამარჯვებას წინ ყოველთვის მრავალი და სასტიკი დამარცხებები უძღვის ხოლმე. მაგრამ ეს დამარცხებებია რომ გაჰკაფავენ ხოლმე იმ უვალ ბილიკებს, რომლებიც გადამწყვეტ ბრძოლაში გმირთა მერნებმა უნდა გადალახონ!

მეორე მნიშვნელობა 1832 წ. შეთქმულობისა სწორედ საბედისწეროა. ეს შეთქმულობა მოქმედებაში გადასვლამდე დამარცხდა და მისი დამარცხებით გადატყდა ქართველი ხალხის პოლიტიკურ-ეროვნული ცხოვრება. აქ გაითხარა დიდი სამარე, რომელშიც მთელი საუკუნით ჩაიმარხენ ქართველი ხალხის ამბოხების სული და უკანასკნელი იმედები. აქ გაივლო სადემარკაციო ხაზი, დაიდვა მიჯნა ორი საქართველოს შორის. გაღმა დარჩა ძველი საქართველო თავისი ეროვნული შინაარსით. ისტორიის გრიგალმა აღგავა და წარიტაცა იგი. ხოლო გამოღმა დაიწყო ახალი ხანა მისი ცხოვრებისა.

1832 წლითგან ჩვენი ერის ცხოვრება ჰკარგავს საკუთარ მოქმედებას და მოძრაობს რუსულ შლანწედ. საკუთარი ქვეყნის საჭე ქართველობას ხელითგან გამოეცალა და ქანც-გამოლეული საქართველო გადაიქცა რუსების „უკაზ-პრიკაზების“ და რუსეთის პსიხოპათ ინტმლიგენციის გავლენის საგნად. და

ამ ახალ ცხოვრებაში გასაოცარი სისწრაფით იშლებოდა კვალი იმ ეროვნული წიაღისა, რომელსა შინა თავისი დასაბამითგან არსებობდა, იბრძოდა, ეცემოდა, ისევ სდგებოდა და ვითარდებოდა ქართველი ერი; რომელსა შინა გამოიჭედა საქართველოს ეროვნული ვინაობა.

წარვიდა, განჰქრა დიდებული წარსული, „როგორც სიხმარი ღამისა,“ და მხოლოდ რამდენიმე მგოსანს თუ ღა ჩარჩენოდა საცაღა სულის სიღრმეში გრძნობა წარსულისადმი, ვით შორეული მუსიკის მომხიბლავი მელოდია, ვით ოდესღაც გაგონილი უცნაური ზღაპარი. და ეს კაეშანი, ეს ნოსტალგია იმ საქართველოზედ, რომელიც იყო და აღარ არის, სევდიან ლექსებად წარმოსკდებოდა ხოლმე.

ყოველი ერის ცივილიზაციას თავისი განსაკუთრებული პრინციპი და ევოლუციის საკუთარი კანონები აქვს. ნორმალურ პირობებში ერთა განვითარებას ეს კანონები განაგებენ. ამნაირად ყოველი ერის აწმყოში უკვე ჩასახულია დაახლოებითი კონტური მისი მომავალი კულტურული ვითარებისა. ხოლო ერის ცხოვრებაში უსაშინელესი ის მოვლენაა, როცა გარეშე, მტრული ძალა სწყვეტს მისი განვითერების ლოღიკურ მსვლელობას და ძალით და ხელოვნურად აყენებს მას მისთვის არა ბუნებრივ გზაზედ. ამნაირ უკუღმართობას შედეგად ერის ან დროებითი, ან საბოლოო დეგენერაცია მოსდევს ხოლმე. უსაშინელესია მეთქი, ვამბობ, ასეთი მოვლენა იმიტომ, რომ მაშინ როდესაც ნივთიერ-ფიზიკური ზარალის აღდგენა შედარებით ადვილი საქმეა, პირიქით, ზნეობრივად და ეროვნული შეგნების მხრით გაბზარული ერი ძნელად ღა გაიმართება წელში, ძნელად ღა შესძლებს ხოლმე აღორძინებას. ასევე დაემართა საქართველოს: რუსეთმა ამოაგდო იგი ეროვნული კალაპოტითგან და მეამწვყდია მისთვის არა ბუნებრივ ცხოვრების ჩარჩოებში.

დიახ, 1832 წლის შემდეგ საქართველო ისე დაძაბუნდა, რომ რუსეთმა მისი შვენიერი ეროვნული სახე თითქმის სავსებით რუსულ საზიზღარ ყაიდაზედ გამოაქანდაკა; შეიჭრა იგი საქართველოს ეროვნული ორგანიზმის ყოველ უჯრედში და თითო წვეთი მაინც მოსკოვის შხამისა ყოველ მათგანს ჩააწვეთა. საქართველოს ეროვნული შეგნება დაცემის იმ დონემდე დაეშვა, რომ იმისთანა დიდი პიროვნებაც კი, როგორიც იაკობ გოგებაშვილი იყო, საჯაროდა სწერდა: ქართველთათვის საქართველო „როდინაა“ და რუსეთი კი „ოტეჩესტვოო!!“ ე.ი. საქართველო დედულია და რუსეთი მამულიო. ხოლო დაგვირგვინება ამ ეროვნული გადაგვარებისა იყო ის, რომ შეიქმნა მთელი პოლიტიკური პარტია, რომელსაც არა სწამდა თვით საქართველო; რომელიც დამოუკიდებლობის ძებნას ღალატადა სთვლიდა და სიტყვა პატრიოტი სალანძღავ ტერმინად გაეხადა.

დიახ, იმდენად დაეცა ჩვენი ხალხის ეროვნული შეგნება, რომ ერთ დროს საქართველო მომაკვდავი ერის სურათს წარმოადგენდა. მაგრამ საცაღა ეროვნულ სიღრმეში სიცოცხლის ძალა მაინც სჩქეფდა. არიან ერნი, რომელთ უკვდავი სული უდგიათ. ამის შესახებ მე მინდა გაგახსენოთ ერთი ცნობილი ლეგენდა. ბევრ მეცნიერულ თეორიებში, რომლებიც თაობათა მთელს რიგს უდავო ჭეშმარიტებად მიაჩნია, ფანტაზიების მეტი არა ყრიარა, მაშინ როდესაც ფანტასტიურ ფორმებში გამოთქმულ ლეგენდებში ცხოვრების უდიდესი სინამდვილე და ხალხის სიბრძნეა ხოლმე ჩაქსოვილი. ასეთია ბაზალეთის ტბის ლეგენდა, რომელიც მინდა მოგახსენოთ. „როდესაც მიწიერმა მხემ-თამარმა სიკვდილის ჟამის მოახლოება იგრძნო, ბაზალეთის ველზედ ოქროს აკვანი დაასვენა. ამ აკვანში იწვა ნორჩი ბავშვი. თამარმა წინასწარ გასჭვრიტა საქართველოს მომავალნი უბედურებანი, რომელთაგან ერთ დღეს იგი ამ ყრმას უნდა ეხსნა. სამშობლოს მომავალი განსაცდელი და ვაგლახი დედოფალს გულზედ სევდად მოაწვა და ეს სევდა ცრემლებად წარმოსკდა. ერთი ამ ცრემლთაგანი აკვანს დაეცა. გავიდენ საუკუნენი და საქართველოს შავმა ბედმა მრავალი ტანჯვა და მწარე ხვედრი არგუნა. რამოდენადაც მეტი უბედურობა ატყდებოდა თავს საქართველოს, იმდენად მეტად იზრდებოდა თამარის ცრემლიც, და ბოლოს იგი გადაიქცა უშველებელ ტბად, რომლის ტალღები მძიმედ დაწვენ ოქროს აკვანში ჩასვენებულ ყრმას. მაგრამ მოვა დრო და ტბის ძირითგან წამოიჭრება ყრმა და მხსნელ რაინდად მოევლინება საქართველოს“.

ეს ქართულ ეროვნულ სინადვილეში და ქართველი ხალხის სიბრძნით შეთხზული ლეგენდა გვასწავლია, რომ აწმყო უნდა ზრუნავდეს მომავალზედ; რომ ერის გამგენი უნდა დღესვე უმზადებდენ მომავალს ნიადაგს. ოქროს აკვანში ჩასვენებული ყრმა თამარის მიერ მომავალზედ ზრუნვაა. იგივე ბაზალეთის ლეგენდა გვასწავლის, რომ აწმყო თავის წინ-სვლის და აღორძინების შემოქმედებაში უნდა წარსულს ემყარებოდეს, რომ მისი დასაყრდობელი წერტილი ეროვნული ანახლების და გადახალისების დროს წარსულის მიერ, წინაპართა ხელით და გენიით შექმნილნი ეროვნულნი ღირებულებანი უნდა იყვნენ. ეს ლეგენდა გადმოგვცემს წინაპართა მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს სული უკვდავია; რომ იგი მრავალ საუკუნეთა ძლიერის ხელითაა გამოჭედილი და ასვენია უკვდავების აკვანში. ეს აკვანი თვით ქართველი ხალხია, რომლის არსში იგი განცდების უმწვავეს ჟამს ახალი ძალით აღსდგება. დღეს ხორციელდება დიდი თამარის ღვაწლი: მეტადრე ქართველ ახალგაზრდობაში გაიღვიძა მამულიშვილურმა სულმა! თქვენა გვხდათ ხვედრად, ახალგაზრდებო, მეტად მძიმე, მაგრამ ამავე დროს, დიადი და საამაყო მოვალეობა: თქვენ უნდა ამოაშროთ ბაზალეთის ტბა, ძირამდე შესვათ თამარის მწარე ცრემლებით ავსებული სიმწრის ფიალა! დიახ, დღეს სდგება ბაზალეთის ტბითგან თამარის რაინდი; იღვიძებს ქართული სული მთელი თავისი სიძლიერით.

და შენ, დიდებულო ილია, მარტო აღარა ხარ, როგორც მაშინ, როდესაც იდექ მარტოკა და „მშობელი შობილს“ არას გეტყოდა; როდესაც შენს მოწოდებას მხოლოდ ქართვლის ძილითგან ამონახეთქი კვნესა უპასუხებდა; აღარა ხარ ისე მარტოდ და ობლად, როგორც მაშინ, როდესაც ერთი კაცი არ გამოჩნდა საქართველოში, რომ შენი მკვლელებისათვის პასუხი ტყვიით გაეცა! დღეს მთელი საქართვლო შენთანაა. დღეს არამც თუ ცოცხალნი უძლურობით არა კვნესიან, არამედ მკვდარნიც კი საბრძოლველად მოგვიწოდებენ! დღეს ქაქუცა საფლავითგან მოგვიხმობს ბრძოლის ველზედ და ეს ამა სოფლითგან გასული ადამიანი ბრძოლის საყვირად გადაქცეულა! დღეს ალექსანდრე ბატონიშვილის აჩრდილი ხელ-ახლად დაძრწის კავკასიონის მთებში, მისი მშფოთარე და დაუდეგარი სული მთელ კავკასიას ამხედრებს! დღეს ფშაველი გოგო, მზექალა, თავისი ლაშქრით, თავისუფლების დროშით ხელში თბილისზედ იერიშით ვიდის!

მამულიშვილნო, დეე 1932 წ. ისეთივე გადატეხის ხანა იყოს, როგორც იყო 1832 წელი, მხოლოდ ამ გადატეხით გაღმა გავრიყოთ ყველა ის, ვისაც კიდევ თვალი რუსეთისაკენ უჭირავს, ვინც მოსკოვის შხამისაგან ვერ განკურნებულა, ვისთვისაც საქართველო არ შეადგენს მთავარ მიზანს ბრძოლისა და არსებობისა. გამოღმა კი დარჩეს მამულიშვილთა საქართველო. ხოლო მოვახდინოთ ასეთი გადარჩევა განუკითხავად და სასტიკად! დიახ, მე კარგად ვიცი, რომ სისასტიკეს ყოველთვის ცალი ფეხი უსამართლობის საზღვარზედ უდგია. მაგრამ ისიც ვიცი, რომ სიბრძოლეთ თუ პოლიტიკურ ბრძოლაში უსამართლობაზედ ღიღი დანაშაული სისუსტეა!

თქვენ კი, 1832 წლის შეთქმულობის გმირებო, განისვენეთ თქვენს სათაყვანებელ სამარეებში. სანატრელი ჟამი ახლოვდება! თქვენი საათი დაჭკრავს და ეს საათი იქმნება ის, როდესაც დამოუკიდებელ სამშობლოში თკვენს საფლავებზედ მუხლმოყრილნი ქართველნი მებრძოლნი მოგითხრობენ, თუ რა სიხსლის ზღვად და განუზომელ ბრძოლის ფასად დაუჯდა საქართკელოს თავისუფლება, რომლის ფუძის ჩამყრელნი თქვენც იყავით!“

ლ. კირესელიძის სიტყვის შემდეგ წაკითხულ იქმნა ქართველ იუნკერთა კავშირის შემდეგი მილოცვა:

„იუნკერთა კავშირი 1832 წ. ასი წლის თავზედ უთვლის გულითად სალამს ამ საისტორიო ხანის პატივსაცემად შეყრილ ქართკელ საზოგადოებას.—ძვირფასია ჩვენთვის ჩვენი ერის ისტორიის ის ფურცლები, როდესაც მას უცხო უღლის გადასაგდებად დიდი ბრძოლა გაუწევია.

და დღეს, როდესაც დამონებული საქართველო ასი წლის წინ დაწერილი ფურცლებით ხელახლად მოგვიწოდებს სიმხნისა და თავგანწირვისაკენ, მთელ საქართველოსთან ერთად შევსძახით 1832 წლის გმირებს ჩვენი გულის სიღრმითგან: საქართველოს წინაშე ვალის მოხდაში ქართველი იუნკრები თქვენ მიერ გაკვალულ გზას გაჰყვებიან!

ქაროველ იუნკერთა კავშირი.

შემდეგ ვრცელი მოხსენება 1832 წ. შეთქმულობის შესახებ წაიკითხა ბ. ალ. მანველიშვილმა (რომელიც აქვე იბეჭდება). ბოლოს ბ. გ. ჟურულმა წარმოსთქვა შვენიერი სიტყვა, რითაც გააცნო საზოგადოებას ზოგიერთი ფრიად მნიშვნელოვანი გადმოცემა 1832 წლის შეთქმულების შესახებ ძველთაგან, შეთქმულობის მომსწრეთაგან განაგონი.

კრება ღიახურად 11 საათზე და საზოგადოება დაიშალა ამ მნიშვნელოვანი შეთქმულობის მოგონებით ფრიად ნასიამოვნები.

1832 წლის შეთქმულობა

«არა აღორძინებისათვის ძალთა, არა ნივთთათვის, არა განვრცელებისათვის სამზღვართა და გზრეცა უკეთ ვრცელსა ქვეყანასა ზედა იმპერიასა შინა, მივიღეთ ჩვენთვის ზედა ტვირთსა საქართველოს მმართებლობისასა. მხოლოდ პატივი და გაცხრილობა სდებენ ჩვენზედა საღმრთოსა ვალსა, მსმენმან ვნებულთა მათთა დ ა ვ ა ნ ა ს ო ს საქართველოსა შინა მმართებლობა»...და სხვ. ვკითხულობთ ალექსანდრე პირველის მანიფესტში, რომელიც გამოცხადებულ იქმნა 1801 წელს 12 სექტემბერს.

რასაკვირველია, არც 1783 წლის ხელშეკრულება, არც გიორგი მეფის «პუნქტები» არ გულისხმობდენ საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმებას. ჯერ დარეჯან დედოფალის და შემდეგ დავით ბატონიშვილის ნოტები ამის ბრწყინვალე საბუთებია. ხოლო ქართველი ერის გუნება-განწყობილება, რაც შემდეგ უამრავი სისხლის დათხევით გამოიხატა რუსთა წინაღმდეგ ბრძოლის დროს, იყო დიდი საყვირი გაცხრილობის წინამე, რომ საქართველოს, ერს ჰკლავდენ რუსეთის იმპერიალიზმის სამსხვერპლოზედ, და ის მედგრად არსებობის უფლებას მოითხოვდა.

ამ მანიფესტის შემდეგ აუარელი საპროტესტო წერილები მიდის საქართველოთგან ხელმწიფის კარზედ.

კახელების ნოტაში ნათქვამია:

«რაცა ჩვენ ვფიცავდით ერთგულობასა, მაშინ გამოგვცხადა უმაღლესი მანიფესტი, რომელშიც ნახსენებია, ვითომ ჩვენ თქვენს უმაღლეს ჯარს მოვახსენეთ, რომ მეფე აღარ გვსურს...და სხვ...მათ ყოლაზე უარი არ გვითქვამს და ეს მატყუარა თხზულებაა»-ო.

ეს და მრავალი საჩივრები წარგზავნილ იქმნა იმპერატორთან, მაგრამ ყველა ეს ამაო იყო და რუსეთი აღვირ ახსნილი მადით შემოიჭრა საქართველოში. შემოსვლის დღითგანვე რუსეგმა შემოიღეს თავიანთი მართვა-გამგეობის წესები და ქართველ ერს შემოსძარცვეს საუკუნეებით თანშეხრდილი ადათ-ჩვეულებანი, წარხულით და აწმყოით განმტკიცებული წესგი და კანონები და სხვ..

ხალხმა ეს არ მიიღო და ის პირველი დღესვე ფეხზედ დაუდგა. აი რას სწერს ამის შესახებ თავის შემუარებში იმდროინდელი საქართველოს ვითარების ერთგული მეთვალყურე ალ. ორბელიანი:

«კახეთი არ დამშორჩილდა ახალ სასამართლოებს და აღელდა. რამდენიმე თავადიშვილი ერეკვანს გაიქცა ალექსანდრე ბატონიშვილთან, აპირებდენ გაქცევას აგრეთვე ბორჩალოს თათრები. ტფილისში ვაჭრებმა დუქნები დაკეტეს. სასამელ-საჭმელი, სალეველი და სანოვაგე ძალიან გაძვირდა ტფილისში, ხალხი დრტვინავდა»...და სხვ.. იგივე ორბელიანი სწერს:

«ბეგეგ ვიორგიმ კოვალენსკის დიდის ამბით დაურიმნა აუდიენცია. დარბაზი სავსე იყო დიდებულებით და გაბრიშვილეგით, ყველა მოუთმენლად ელოდა რუსეთის იმპერატორის განსაკუთრებულ ელჩსა. კოვალენსკი პირდაპირ საბეგეგ დარბაზში შევიდა ქუდ ჩამოხსმული, ფეხზე თვალი [illegible] და თავზე [illegible] [illegible] [illegible]

ცხადია, ამ გვარ დარაზმულობას მიზნეგიც დიდი უნდა ჰქონოდა. ეს იყო საქართველოს განთავისუფლება, მიხი დამოუკიდებლობის გამოცხადება. არც საშუალებებია ჩვენთვის კარგად ცნობილი. ჯერ-ჯერობით ვიცით, რომ შეთქმულნი პირველად აპირებდენ დაცემას არსენალზედ საბრძოლი იარაღის ხელში ჩასადებებად, მაგრამ ეს უნდა მოჰყოლოდა რუსეთის სამხედრო და სამოქალაქო უწყების მოწინავე პირთა მეკყრობას და ამოჟულტას, რაცა უმეთაურო ჯარი და ხალხუფლება ადვილად დაემარცხებინათ და განედევნათ საქართველოთგან.

მაგრამ ბედმა უმტყუნა შეთქმულთ. ქართველის უბედურობას კიდევ ერთხელ დაჩხვალა თვალბედითმა შავმა ყოფანმა და 1832 წლის დეკემბერს შეთქმულობის ერთ ერთმა მონაწილემ იასე ფალავანდიშვილმა გასცა ამ საზოგადოების არსებობა,—დაასმინა კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსის თანაშემდებობის აღმასრულებელის ენერალ-მაიორის ვ.დ. ვოლხოვსკის წინაშე.

საქართველოს მთავარ-მართებელმა ბარ. როზენმა მაშინათვე გასცა განკარგულება.

და 10 დეკემბერს ღამე დაიწყეს შეთქმულთა დაპატიმრება. დაატუსაღეს აუარებელი ქართველობა. ამ დროს პეტერბურგში ბატონიშვილ ალექსანდრეს დევნება დაუწყეს.

11 დეკემბერს დანიშნულ იქმნა საგამოძიებლო კომისია, რომელშიც შევიდენ:

1. ვოლხოვსკი, 2. ენერალ-მაიორი ბიკოვი და 3. კავკასიის მეზანგრეთა ბატალიონის უფროსი პოლკოვნიკი ტრიტილევიჩი.

ამავე დროს 1833 წ თებერვალს დაარსდა საიდუმლო კომისია გრაფ ორლოვის თავმჯდომარეობით, რომელსაც ევალებოდა თვალყური ედევნებინა შენიშნულ პირთათვის საქართველოს გარეშე მცხოვრეგ ქართველთაგან.

საქართველოში კი ამ საქმის გასაცნობად გამოგზავნილ იქმნა ენერალ-მაიორი კ. ჩაგინი, რომელიც შევიდა ტფილისის საგამოძიებლო კომისიაში.

1833 წ. სექტემბრის 20-ს კომისიამ დაამთავრა გამოძიება და საქმე გადასცა მთავარ-მართებელს ბარ. როზენს.

როზენმა საქმე გაუგზავნა სამხედრო მინისტრს ჩერნოვს, ხოლო ამ უკანასკნელმა იმპერატორს მიარეკა. იმპერატორის ნიკოლოზ პირველის ბრძანებით ის გადაეცა სასამართლოს.

ამისთვის კი თვით როზენის მიერ დანიშნულ იყო სპეციალური სამხედრო სასამართლო კომისია.

სამხედრო სასამართლო კომისიამ დაამთავრა საქმე 1834 წ. 10 თებერვალს.

ნიკოლოზ I-ის ბრძანებით ჩვეულებრივ სასამართლოს გადეცა მხოლოდ შემდეგი პირები:

1. ტფილისის კომენანტის მასწავლებელი ხოლოდოვნ დოდამვილი, 2. სამსახურის გარეშე მყოფი პოდპორუჩიკი ალ. ორგანიანი, 3 სამსახურის გარეშე მყოფი არტილერიის პოდპოლკოვნიკი ელისბარ ერისთავი, 4. კავკასიის ინვალიდთა საარტილერიო ბრიგადის პრაპორშჩიკი დიმ. ერისთავი, 5. კავალერიაში მყოფი მაიორი ალექ. ორბელიანი, 6, ვ. ხ. ორბელიანი, 7. ბორჩალოს თათარი მოლა ხამანი, 8. ყაზახთა პოლკის ლეიბ-გვარდიის პორუჩიკი მამუკა ორბელიანი, 9. ტიტულიარნი სოვეტნიკი დიმიტრი პაუშვნკო, 10. სამსახურის გარეშე მყოფი პორუჩიკი ალეკსანდრე გიორგიზძე ორბელიანი, 11. სამსახურის გარეშე მყოფი ივანე ერისთავი, 12. ხოლომონ რაზმაძე, 13. სემიონოვის პოლკის ლეიბ-გვარდიის კაპიტანი ზაქარია ჩოლაყაშვილი.

ეს 13 ბრალდებული იყო გაყოფილი ორ ჯგუფად. პირველი ჯგუფი ისჯებოდა სიკვდილით, ხელ-ფეხის და თავის მოკვეთით. აქ შედიოდა 10 კაცი: ს. დოდამვილი, ალ. ორბელიანი, რაზმაძე, ჩოლაყაშვილი და სხვ.. მაგრამ შემდეგ როზენმა ეს სასჯელი შემასუბუქა: სიკვდილით დასჯისგან ყველა განთავისუფლეს. ელიზბარ ერისთავს და ს.რაზმაძეს სამუდამ ე, ხოლო სხვებს 5-15 წლამდე ვადით გადასახლეგა მიუსაჯეს. მხოლოდ ლუარსაბ ორბელიანს ეძლეოდა საშუალება დარჩენილიყო საშობლოში «როგორც ადამიანს, რომელიც არ იყო საეჭვო». და სხვ..

შემდეგ ეს განაჩენი გადაგზავნილ იქმნა პეტერბურგს საუდიტორიოდ დეპარტამენტში, სადაც მცირე ცვლილებით ზოზენის აზრი დამტკიცებულ იქმნა 1834 წელს 2 აპრილს.

და ეს გადაწყვეტილება შალვ ხისრულემი იქმნა მოყვანილი.

სხვებს შემდეგი სასჯელი ეწია: 1. ექვთიმ გატოზიშვილი გადასახლეს კოსტრომაში. 2. და 3. დიმიტრი და ლუარსაბ ორბელიანები სმოლენსკში. 4. იულონ გატოზიშვილის ასული თამარი—სიმბირსკში. 5. გრეკლე მეფის ასული თეკლე—კალუგაში. 6. ხოლომონ დოდამვილი—ირკუტსკში, სადაც გარდაიცვალა 1836 წ. 32 წლისა. 7. გიორგი ერისთავი—ვილნოში. 8. ალ. ორბელიანი—ორენბურგში. 9. გრ. ორბელიანი—ჯ.წ. «კავკასიის ლინიაზედ». 10. ვახტანგ ორბალიანი—კალუგაში. 11. დიმიტრი ყიფიანი—ვოლოგდაში. 12. ალექსანდრე ჭავჭავაძე—ტამბოვს და სხვ..

მეთქმულობის სხვა მონაწილენი გადარჩენ გადასახლეგას, მაგრამ ყველა მთავრობის თვალყურის დეგნების ქვეშ იყო.

ესენი იყვნენ: იასე ფალავანდიშვილი, გიორგი. ბიძინა და ლევან ერისთავები, დიმიტ. ორბელიანი, გ. ორბელიანი, ანტ. აფხაზი, ა. ჭავჭავაძე, დ. ჯორჯაძე, ვ. შარვაშიძე, ავთანდილაშვი, ყიფიანი, იოსებ მამაცაშვილი, გ. მამაცაშვილი, სემინარიელი ტალიაშვილი, თეიმურაზ ლორთქიფანიძე, ტფილისელი ხოშვხი ზაალ ყორღანაშვილი, ბორჩალელები ყადიმ ნაგდალი ოღლი, ვალი ალი ელინ ოღლი, ჩალდირელი ქოსა მუსტაფა, სიმ. მაჩაბელი, ბარძიმ. ივანე, გივი და თეიმურაზ ამილახვრები, თადია ჩოლაყაშვილი, ბ. თუმანიშვილი, ზაქ. ციციშვილი, ლუარსაბ თარხნიშვილი, დ. ნატალაშვილი, მევდელ-ბოლნაზონი ტარასი, ანდრია მალგუნოვი, ფარნაზ ბატონიშვილის ასული სალომე, მანანა ორბელიანი, ალ. ჩოლაყაშვილი, ივანე ბარათაშვილი, დიმ. მაღალაშვილი, ივ. მაჩაბელი, ივ. ერისთავი, მღვდელი მფრ. ალექსიშვილი, სტეფანე დოდამვილი, ბ. დ. მაგილევსკი, ქვრივი მართა მეხი-ალექსიშვილი და სხვა და სხვა.

ასეთია მოკლედ ისტორია ამ მეთქმულობის.

ეს მცირე ცნობებიც საკმაოდ გვაჩვენებენ, რომ ამ შეთქმულობას, გარდა ფართე ორგანიზაციული მხარისა, ღრმა იდეური შინაარსიც უნდა ჰქონოდა. ამას გვიჩვენებს აგრეთვე თვით მთავარ მონაწილეთა მოღვაწეობის კვალი სხვა და სხვა სფეროებში.

20-30-ან წლებში ევროპაში შექმნილი განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღები სწვდებოდენ საქართველოს ნიადაგს და ამ მეთქმულობის მონაწილენი საკმაოდ იყვნენ დაახლოებულნი ამ სულთან. ჩვენთვის მდგომარეობა რომ უფრო ნათელი შეიქმნეს, ოდნავ თვალი გადავავლოთ იმ დროინდელ მსოფლიო ვითარებას.

ნაპოლეონი დატყვევებული იყო წმ. ელენეს კუნძულზედ ხმელეთზედ სიწყნარე ჩამოვარდა. ვენის კონგრესმა დაანაწილა ქვეყანა. წმიდა კავშირმა მაზვილი აღიმაღლა და ევროპა მოიცვა შეიაფოფებამ. მაგრამ მალე დაიწყო შინაგანი მოძრაობა. კულტურული ევროპის სული ვერ მოთავსდა ვენის კონგრესის რკალში. სახოგადოებრივი აზრის დენა ვერ შეაჩერა მეტერნიხის ჯებირმა. ოცდაათი სხვული განვითარებას მოითხოვდა და ამ დღითგან ევროპა შემდიოდა დიდი სახოგადებრივი, სახელმწიფებრივი და სოციალური ტრანსფორმაციის ხანაში.

1830 წლის საფრანგეთის რევოლუცია იყო ნიშანი დიდ მოძრაობათა დასაწყისისა.

იწყება გამოღვიძება ლიბერალური და ეროვნული იდეებისა.

ოქტომბერს 1830 წელს ბელგია აცხადებს დამოუკიდებლობას.

1831 წელს პოლონეთი იბრძვის დამოუკიდებლობისათვის (და პოლონეთის დიდ ეროვნულ იდეურ მოძრაობასთან ქართველები ბევრი მხრით იყვენ დაახლოებულნი).

იტალიაში ეკლესიის, მოდენის და პარმის სახელმწიფოები აცხადებენ საკუთარ ხელისუფლებას. წამოიჭრა იტალიის გაერთიანების იდეა. ძალიან ადგენს იტალიის. ახალგაზრდობა ბაიერ-ბოლოებას და ძალიერ ბევრს იტალიას გაერთიანებისაკენ. მაგრამ გაერთიანებაზედ უნდა ძალუნდეს იტალიის ნაწილების განთავისუფლება აგსტრიის იმპერიის მფლობელობისაგან. ძალე სარდინიის იმეფე კარლოს ალბერტი იბრძოლა ავსტრიელებს თავს იტალიის მეფედ. ხოლო მეძდეგ ვიქტორ ემანუელ ძეს ორის სახა დიდი კავურის დაეღალავი ძალქმედებითა და გარიგალდის ხმლით ახერეს ხელს განთავისუფლებას და გაერთიანებასაც იტალიისა.

1815 წელს გერმანიაშიც იწყება დიდი გაერთიანებელი ძოძრაობა. საბოლოოდ «რეიხის განცლერი» ბისმარკი «გვიერგვინეგს მას.

ასეთივე სული ტრიალებს აღმოსავლეთში.

ნელ-ნელ ებერაკს ქარიმსალი გრწყისვა ეე ბოლტას.

ოსმალეთის იმპერია განწირულია. 1804-1815 წლებში ხდება აჯანყებები ხერგიოს და 1830 წელს ძალიბოლეგს იგი ნასყრად დაძალებიდებლობას.

1821-1829 წლებში ხდება აჯანყებები საბერძნეთში და 1829 წლის რეაგან-ოსმალეთის ომის და ადრიანოპოლის ხელშეკრულების ძალდეგ საბერძნეთი საფუძველს უყრის დამოუკიდებელ სამეფოს.

1831 1841 წლებში თურქთა და ეგვიპტის კონფლიქტის შემდეგ ეგვიპტე ძალიბოლებს აგტონომიის უფლებას. (ხოლო შემდეგ ბალკანეთის 1877-78 წლების ომისა—სრულ დამოუკიდებლობას მოიპოვებენ რუმინია და ნახევრად ბოლგარია ეს უკანასკნელი სრულ დამოუკიდებლობას ძალიბოლებს 1908-1909 წლ. თურქეთის რევოლუციის შემდეგ).

ასეთ დიდ განმათავისუფლებელ ძალიბოლებას ჰქონდა იმ დროს ადგილი ევროპაში და ცხადია რომ საქართველოს მოაზროვნე საზოგადოების მოქმედებას ეს სიიც უგერავდა.

ერთი მხრით 1832 წლის შეთქმულობის მეთაურნი რუსეთში ყოფნის დროს ფართედ გაცნობილნი იყვნენ იმ დროინდელ ევროპის სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას. მეორე მხრით პოლონელი პატრიოტები, გადმოსახლებულნი ტფილისში, უფრო ფართედ აცნობდენ მათ დასავლეთის ხელს, და თვით იმავე ბედში ბყოფნი დიდის ენტუზიაზმით ეხმარებოდენ ქართველებს ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში, მით უმეტეს, რომ მათ ამ მხრით მეტი გამოცდილებაც ჰქონოდათ.

სხვათა შორის ფარულ სეზოგადოებას დიდად თანაუგრძნობდა საფრანგეთის კონსულის მდივანი ტფილისში—ლამბლიე.

აი, ამ გრანდიოზულ ატმოსფეროში იზრდებოდა შეთქმულთა ორგანიზაცია.

გარდა ძლიერი შინაგანი ეროვნული დუღილისა, იმ დროინდელი მსოფლიო პოლიტიკური ვითარება ერთგვარ ხელის ჩამდებმელად და ბერკეტად გადაიქცა ამ მოძრაობისათვის.

თვით ორგანიზაციის ხელმძღვანელნიც, რომელნიც თავის დროის შესაფერისად უთუოდ თავის სიმაღლეზედ იდგენ, მეტად ფართო, ღრმა და შინაარსიან მოღვაწეობას ეწეოდენ.

მათ მოქმედება გაშალეს ყველა ხელოვნებში: მათი პროპაგანდა ვრცელდება ერში ხიტყვით, მწერლობით, ეიმოძრით, მხატვრობით, ალეგორიებით და სხვ.. საკმარისია მათი მოღვაწეობითგან დავასახელოთ ზოგი რამ: 1. ბერი ფილადელფოს კიკნაძე ადგენს «ფარული და განუწყვეტელი მეგობრობის აქტს» და პოლფირე მონაზონის შთაგონებით საქართველოს აწინდელი მდგომარეობის გამო სწერს «იერემიას გოდებას».

2. ხოლომონ რაზმაძე სთხზავს პოლიტიკურ იგავს «დათვი და ცხვარი» და სთარგმნის საფრანგეთის 1830 წლ. რევოლუციის დეკრეტებს.

3. ხოლომონ დოდამვილი იწყებს ქართული ენაზეთის «ტფილისის უწყებანი»-ს გამოცემას, სადაც მედგრად ხდებას ეროვნულ პოზიციაზედ ყველა საკითხებში (მის ქაღალდებში დაჭერის დროს ნახეს «თხზულებანი აღმაშფოთებელნი»).

4. დიმიტრი ერისთავი უკვეთებს კომენტარიებს საქართველოს რუსეთთან შეერთების 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტს და სწერს «აბოსების პირველი ღამის განკარგულებას».

5. ტარასი ბოლნაზონის ქაღალდებში ნახეს ხურათი, რომელსაც განმარტავდენ როგორც ილიუსტრაციას რაზმაძის «დათვი და ცხვარისა»-სა და სხვ. და სხვ. 1)

და აი, შეთქმულთა ამგვარი ბეჭდოვანებისგან კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ეს შეთქმულობა არ იყო თავად-აზნაურული, როგორც აქამდე ბევრი ფიქრობდა, არ იყო გამოწვეული ფეოდალური არისტოკრატიის დირიქორების რესტავრაციის სურვილით საქართველოში, არამედ ის იყო დიდი ეროვნული აქტი, ქართული ეროვნულ-ისტორიული სულით ძოტანილი, რომელმაც თავის წიაღში დაჩრდილა ყველა ვიწრო კლასიური ინტერესები და ყველა კლასის თუ წოდების მოქმედება საერთო იდეის დაცვას შეუერთა.

ეჭვს გარეშეა ამ დიდ ლაშქარში ისეთებიც ბევრნი იყვენ, რომელთაც საქართველოს ეუცხოენება, მისი ეროვნული მეობის აღდგენა წარმოდგენილი ჰქონდათ სწორედ არისტოკრატიის სელშეძღვანელობით, და ამ გვარ ფიქრებს ერთგვარი საფუძველიც ჰქონდა, რათგან მაშინ ევროპაში გარისტოკრატია ჩვენში კიდევ ასრულებდა ანსახოვრულ როლს.

ხოლო, მეორე მხრით, შეთქმელების თავარნი ხელმძღვანელნი,—ს. დოდამვილი, ერთი უდიდესი მოაზროვნე იმდროინდელი საქართველოს, [illegible] ბერი ფილადელფოს კიკნაძე, ივ. ხელაძვილი, პირველი დამაარსებელი და ორგანიზატორი ამ მოძრაობის, ნიჭიერ საკმაოებით ეაჟღენთილნი იყვენ იმდროინდელი ევროპის სოციალური იდეებითაც. სხვაგვარად ჩვენთვის აუხსნელი რჩება ის ფაქტი, რომ ისინი სთარგმნიდენ 1830 წლის საფრანგეთის რევოლუციის დეკრეტებს. აქეთგან ცხადია, რომ მათ ორგანიზაციას უთუოდ სოციალური საფუძველიც ჰქონდა. ოდესლაც შეიძლება ასე ვსთქვათ, რომ 1832 წლის შეთქმულობას საფუძვლად ედვა ეროვნულ-პოლიტიკური და სოციალური იდეოლოგია, რომ ის იყო ფართე მასშტაბის მოძრაობა, რომელმაც პირველ რიგში დააყენა ეროვნულ-პოლიტიკური კითხვა, პირველ მიზნად დაისახა საქართველოს გამოცალეა რუსეთის კლანჭებისგან და აღდგენა საქართველოს ეროვნული სახელმწიფოსი.

და ამ გრწყინვალე და უდიდესი იდეიან ერთად ძლიერ ეხაძლებელი გახდა ერის ყველა მემამდგენელ ელემენტთა შემოგრება, ჩაბმა ბრძოლაში ეროვნული იდეის ხიერ მეხსნისათვის. და მართლაც როგორც არისტოკრატული ისე ხალხური წრეების წარმომადგენელნი ამ მოძრაობაში უანგარო თავდადებას იჩენენ და საერთო საქმისათვის მეუდრეკლად იგრძვიან.

ამ მოვლენაში ერთხელ კიდევ გამოიხატა ქართველთა ეროვნულ-ისტორიული ნაბიჯ-ყოფა, ერთხელ კიდევ დამტკიცდა, რომ ქართველ ერს დამოუკიდებლობის უდიდეს წყურვილთან ერთად მისთვის კრძოლა და თავგანწირვაც შეხძლებია.

შეთქმულობა დამარცხდა. და ეს დამარცხება იყო მეტად მწარე, ქართველის რაინდული ბუნებისათვის მიუღებელი.

ვინ იცის, იქნებ გაცემაც რომ არ გამხდარიყო, ეს შეთქმულობა მაინც დამარცხდებოდა, მაგრამ ეს დამარცხება იქმნებოდა მხოლოდ ფიზიკური და ქართული ეროვნული სული ამ გვარი დამარცხების შემდეგ უფრო ლაღად გამლიდა ფრთებს და, ვინ იცის, იქნებ ჯერ ადრე და უფრო მწყობრ ძალას მოინახავდა სამოქმედოდ და მიზნის მისაწვევად.

ასე ტრაგიკულად დამთავრდა 1832 წლის შეთქმულობის საქმე. დაიშალა ეროვნული დამოუკიდებლობის ძლიერი ორგანიზაცია. ეს ეზაც ჩაინერა ეროვნული განთავისუფლებისა. უკანასკნელი იმედის ხმაც მისწყდა ჩვენს არე მარეში და ჩვენი მოწინავე საზოგადოება რაღაც ხევდამ მოიცვა, გაურკვეველ ბურუსში გაეხვია იგი. იწყება მოთქმა და ტირილი, ოდენ და ურვა და ქართველი ამოერდა ხევდისა და ჭმუნვის ჰანგებზედ.

პოლიტიკურად სამარეში ჩასვენებული საქართველო ბრძოლის დროშას ახალ თაობას გადასცემს, ხოლო მარად იმედით აღსავსე ქართული სული სანუგეშო სიტყვას ეუბნება: «ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის
ეს განწირულის სულის კვთვა!
და ეზა ეკალი, შენკან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება»...

ამ შეთქმულობის შემდეგ ერთი საუკუნე გავიდა. ეკვრმა კოკა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ. როგორც ხალხი იტყვის; ბევრი ტანჯვა და ვარამი გადიტანა ქართველმა ერმა; ბევრნაირი საშუალებებით სცადა მან, შემდეგ კიდევ, საქართველოს განთავისუფლება და აგერ მოდგა საუკუნემი გაუღიმა მას ბედმა. ის ეწია დიდი ხნის სურვილს. 1918 წ. 26 მაისს მან გამოაცხადა დამოუკიდებლობა. მან შეიხსნა საუკუნით ტარეული ნიღაბი, შემოიხია ძაძა და ხაზეიმო შეიმოსა.

მაგრამ მალე აიმალენ მავი ღრუბლები ჩრდილოეთითგან და წითელ სამოსელში შეხვეული რუსთა ურდოები კიდევ ეწვიენ ჩვენს სამშობლოს. დაიგყრეს მახვილით, სპობენ და ფხვრიან ეროვნულ სულს, ანადგურებენ და აპარტახებენ ერის სარჩო-საბადებელს, დოვლათს, სპობენ და სისხლში ახრჩობენ მედგარ, მეუბოვარ და თავდადებულ მებრძოლთ ერისა და სამშობლოსათვის და მთელ ერს ძირიან-ფესვიანად ამოვდებას უპირებენ...

ამ საგვდისწერო ხანაში ჩვენი ერისა არ შეიძლება ძალა ენებურად არ გაგვახსენდეს ის ამბები, რომელიც ხდებოდა ჩვენში ერთი საუკუნის წინედ. ხოლოდ ერთი საუკუნის თავზედ კიდევ ერთხელ ბოიზია ჩვენზედ დიდმა რისჩვამ.

1921 წელს, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობის ბზე ჩაესვენა, მოწყვეტილი ხსოვნა კიდევ დიდ ხანს ეთამაშებოდენ საქართველოს ვაჟლობა, კიდევ დიდ ხანს სწვდებოდენ ქართველის გულს და ათბობდენ ძლიერი სუსხით დაჩაგრულს. ბოლოს ეს იმედიც მოსწყდა და საქართველო გარკვეულად მოსობას გადაეცა.

ქართველი ერი, როგორც მე-19-ე საუკუნის დასაწყისში, ახლაც ვერ ეიგდება ახლად მოვლინებულ კატოზს და იარაღში ჯდება.

პირველი დიდი და ღრმა შინაარსიანი გამოძახილი ერთ ეროვნული სულის მღელვარებისა, შეურიგებლობისა და გრძოლისა გამოსახა განსვენებულ ქაქუცა ჩოლაყაშვილსა და მის მოძმე რაინდ შეფიცულებში.

ქაქუცა ჩოლაყაშვილი იყო უზარ-მაზარი ზვირთი ეროვნული თვითშემეცნებისა, ქედმოუხრელობისა და შეურიგებლობისა—მარად მეგმლვარე ეროვნულ-ისტორიული ოგვანითგან გადმოღვნატყორცნი.

ეედნიერია ერი, როდესაც მას მსგავსნი რაინდნი ევლინებიან გაჭირვების დროს.

ქაქუცა ჩოლაყაშვილის მოვლენაში ქართველმა ერმა მეოცე საუკუნის სამყაროს კიდევ ერთხელ დაანახა ძისი დიდი ძინაგანი პოტენციალი, არსებობის უსაზღვრო წყურვილი და მისი შესაძლებლობა.

ქაქუცა ჩოლაყაშვილმა მოხსნა ქართველ ერს ისტორიული სირცხვილი, შეუოცახა ჩიქილა, რომელიც 1921 წლის ბრძოლაში დაასურგს და რაინდული სიამაყოთ გადაესედა იგი მის დიდებულ წარსულთა დროთა გიორგი ბაკაძისა და და დავით აღმაშენებლის ბრძოლისა და შემოქმედების მიდამოებში.

ქაქუცა ჩოლაყაშვილმა საბოლოოდ გამოისყიდა ერის ფსიქოლოგია ბყვეობითგან და ჩვენი სახელოვანი ისტორიის ამ ბეოქის ფურცლებს უცნაური ლაგენდა შესთავაზა.

მაგრამ თვალი ერი ვერ დაკმაყოფილდებდა მარტო ტყეში გაჭრით, მით უმეტეს ამგვარი ბრძოლა საბოლოო ნაყოფს ვერ

---

1) იხ. საქართველოს არქივი ნ.2,110 და აქტების მე-12-ე ტ. ტფილისი (1866-1896 წ.).

მოუტანდა მას და ვერც მთლიანად გაიხსნა ეგიდა. ამიტომ ერის პოლიტიკურად მოქმედი ნაწილი იწყებს ხმა ეგზეგის გმოძახვას. იწყებს ეგეგმით მუშაობას, ძალთა დარაზმვას, სჯედს ძალუმ კვერს, რომელიც დაჭერავს თავის დროზედ. ეს იყო დიდი მზადება 1924 წლის აჯანყებისათვის. ჩვენ დღეს არ შეგვიძლია ამისი ისტორიული დაფასება. ეს მოქმავლის საქმეა. ჩვენთვის საგმარისია თვით აქტის აღნიშვნა, რომელიც იყო რეგულაცია იმ დიდი მეველვარეგისა, რომელიც იყო მთელ ერში. და აი, ამ დიდი მზადების ზეზედ მოუხდა მას უხეიმო მხცვერპლს გაღება, რაც მან სიამოვნეგით გაიღო და შეერიგეგულების გრძნობა ერთი ათად გაზარდა.

1923 წელს მარტში რუსების ჯალათები ზოგიერთ ქართველ მოღვაწეებთან ერთად აღმოაჩენენ ინტერპარტიული კომიტეტის სამხედრო შტაბს, შეიპყრობენ დიდ ნაწილს მის ხელმძღვანელთა. 1923 წელს 26 მაისს ყველა დახვრეტილ იქმნენ.

ჩეკითგან, საიდუმლოდ, ასე გადმოგვცემენ ამ საზარელ ამბავს: „დადგა სისხლიანი წუთები ზაკჩეკაში...განწირულები ორ-ორი გაჰყავთ საკანებითგან და თავს უყრიან განსაკუთრებულ ოთახში. იქ ამათ ელიან ჯალათები: პანკრატოვი, პეტროსიანი, რუსი აშუკინი. მათ რიცხვში ურევია აგრეთვე ქართველი იუდა კვანტალიანი. ბოლოს მობრძანდება ზაკჩეკის თავმჯდომარე ებრაელი მაგილევსკი. ყველა ესენი გაჟღენთილი არიან ქართველთა სისხლით. კითხულობენ სასიკვდილო განაჩენს...

ერთი წუთით მძიმე დუმილი ჩამოვარდება. მას არღვევს პოლკოვნიკი გიორგი ხიმშიაშვილი, რომელიც წინ წარმოსდგება და ამბობს:

„ჩვენ ვიცით რისთვისაც გვკლავთ. თქვენც კარგად იცით, რომ ბანდიტები არა ვართ. მალე დადგება დრო და თეთრი გიორგი მრისხანედ მოგთხოვსთ პასუხს. გაუმარჯოს საქართველოს.“

ხიმშიაშვილის შემდეგ ჯალათებს მიმართავს გაჭაღარებული, რაინდული გარეგნობით და სუფიით, ენერალი წულუკიძე ვარდენ:

„სიკვდილით ვერ შეგვაშინებთ. ჩვენი სიკვდილი საქართველოს განთავისუფლების თავდებია. იგი გაასალელდკვებს ერის სიმტკიცეს, ერთი ათასად გაამრავლებს მებრძოლთ!“ თვით პანკრატოვზედ, ამ მთელ რუსეთში ცნობილ ჯალათზედაც კი ახდენს შთაბეჭდილებას ასეთი გმირული თავდაჭერა და სრული სიმშვიდე სიკვდილის წინ. ის მიმართავს წულუკიძეს: „თქვენ მართლაც გმირულადა კვდებით, გინდათ გადავცე რამე თქვენიანებს?“ წულუკიძე: „გადაეცით, რომ ჩვენ დავიხოცეთ, ვით ქართველ პატრიოტებს შეფერისთ.“

კოტეიაფზაზი: „მე ვკვდები სიხარულით, რათგან ღირსი გავხდი სამშობლოს სამსახვერპლოზედ ზვარაკად მიტანისა. ჩვენი სიკვდილი გამარჯვებას მიუტანს საქართველოს.“

პოლკ. მაჭავარიანი: „ჩვენ არ გიპირებდით შეგრალებას და არც თქვენგან მივიღებდით ლმობიერებას, ეს ჩვენი შეურაცხყოფა იქმნებოდა.“

ბოლოს მშვიდი, მუდამ აუღელვებელი ენერალი ანდრონიკაშვილი ესვრის მტერს: „სახეზედ გეტყობათ, რომ გაკვირვებთ ჩვენი სულის სიმტკიცე.— იქნება ყველა ქართველები ამისთანები (მიუთითებს კვანტალიანზედ) გეგონათ? მრავალი ათასი ჩვენზედ უკეთესები ზრდიან თავის გულში თქვენთვის სიკვდილს.“

პოლკ. ჩრდილელი: «რუსეთში დაივიწყეს იდეისათვის თავგანწირულად სიკვდილი. წადით და უთხარით მათ, თუ როგორ იბრძვიან ქართველები სამშობლოსათვის“...

ჯალათები შეუდგენ უაანასკნელ ოპერაციებს ზაკჩეკაში. დაუწყეს მსხვერპლთ ხელფეხის შეკვრა. მოხუცი წულუკიძე გაძალდა: „ჯალათებო, ნუ გვიკრავთ ხელებს, კარგად იცით, რომ მონები არა ვართ!..“ ამაოდ! ყველა შებორკეს, დაჰყარეს ორ საბარგო ავტომობილზედ და დაიქანეს სასაფლაოსაკენ...

ასე დიდი და გულშემხარავი იყო პირველი მსხვერპლი, რომელიც წარუძღვა წინ დიდ აჯანყებას. თავითგანვე გამოჩნდა შავი ყორანი, რომელიც ასდევნებოდა მესაიდუმლეთა ბანაკს და საზარალად დასჩხაოდა.

მაგრამ უარესი იყო ის წუთები, როდესაც გავარდა ათასეულ შეთქმულთა თოფის ხმა.

დიახ, მწარეა მოგონებანი იმ დღეებისა, როცა იელვა.

შეთქმულთ სასტიკი ცეცხლის რკალი დაარტყეს საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში მტრის ბანაკებს და თავგანწირულადაც შეებრძოლენ...მაგრამ ცეცხლი მალე ჩააქრეს. წინასწარ შემზადებულ ჯავშნოსნებმა აწვიმეს ტყვიისმფრქეველები და ოამოდენიმე ათასეული მამულისათვის თავდადებულ მებრძოლთ მოუსპეს სიცოცხლე. საჯაროდ გამართულ სასაკლაოდან უდანაშაულო და მცირეწლოვან მსხვეოლთა კივილი ცასა სწვდებოდა, ხოლო უფროსთა თავდადება და სიკვდილისადმი-გულ-ცივი შეხვედრა ასალკლდევებდა ტრაღიკულ წუთში მყოფ ერს და თავგანწირულ დედათა თვალთაგან ადენდა ცრემლებს სიამაყისა...

უფრო რაინდული იყო შეთქმულთა გასამართლება,—მოელი ეროვნული თავმოყვარეობის გამომჩენი.

გმირული გამბედაობა და სიმართლე აცისკროვნებდა მათ სულს და ერის ბედნიერებისათვის უსაზღვრო სიხარულით კისრულობდენ ჯვარს წამებისა.

ეს პროცესიც დასრულდა და დიდ მამულიშვილთა გუნდები გაისტუმრეს გოლგოთაზედ.

ამით კიდევ ერთი სისხლიანი ფურცელი დაიწერა ჩვენი ისტორიისა.

ერთი საუკუნის გასწვრივ განმეორდა დიდი ისტორიული დრამა და სახელოვან მებრძოლთ ლაღად გაიარეს წინაპართა ნათელი ეკლიანი გზა.

ხოლო დღეს ჩვენ შემოკრებილთ აქ გვევალება გლოვა ამ ორი დიდი ისტორიული შებრძოლების და დამარცხებისა, მოგონება დიდ დღეთა, რომელთაც მრავალ თავგანწირულ მამულიშვილთა სისხლით დააშვენეს ჩვენი ისტორიის ერთი საუკუნის ორი უდელტეხილი.

გვმართებს მოგონება და განწირულთა შთაგონებით სულიერი იარაღის შესხმა ომავალ საბედისწერო ბრძოლაში მოსახმარებლად. ქართველი ერის განთავისუფლების ზარი ირეკება. სულიერი ხელი ჩავჭიდოთ მამულისათვის დახოცილთა გმირებს და ვემზადოთ დიდი ბრძოლისათვის.

მტრის დღეები დათვლილია. ბალე დადგება საბოლოო ქამი და ჩვენს რიგებში უნდა გაისმას მედგარი ყივილი: „ქართველო ხელი ხმალს იკარ»!..

და თქვენ კი, განსვენებულნო რაინდნო იბერიისანო, განისვენეთ მანამდე თქვენთვის შეუფერებელ საფლავთა შინა! დადგება ქამი სამშობლოს განთავისუფლებისა და მადლიერი ერი თქვენს ღირსეულ გვამთ უკვდავთა პანთეონს აუგებს თავის დედა ქალაქში.

მომავალი თაობა თქვენზედ შესთხზავს მომხიბლავ ზღაპრებს, რომელიც გადაეცემა თაობითგან თაობას და მხნეობისა და მძლეობის სულს აღუზრდის მათ.

თქვენს მოგონებზეც აქვითინდება ყრმის აკვანთან ქართველის დედა და თავის ტკბილ ნანინასთან თქვენს სახელსაც ჩამღერებს ყრმას.

ხოლო ბრმა მეჩონგურე ბაღის კარებთან თქვენის სულის საამებლად გულსაკლავ ჰანგზედ ააკვნესებს დაცრემლილ სიმებს.

ალ. მანველიშვილი.

მენშევიკების სიბრძნე-სიცრუე

რაკი ღა ერთხელ ღმერთი ადამიანს ბრუდე გზაზედ დააყენებს, ბოლომდე უკუღმართად ატარებს-ო, ნათქვამია. მენშევიკური პარტია ყალბ ნიადაგზედ აღმოცენდა და თავითგანვე ჩვეულებად შეცდომები დაჰყვა. ამიტომაცაა, რომ მის მიერ მთელი გავლილი გზა მხოლოდ შეცდომების კენჭებითაა მოკირწყლული. ხოლო ვის ძალუძს აღრიცხოს და შეაფასოს, თუ რა ძვირად უზის ქართველ ერს ყოველი ამ მრავალ კენჭთაგანი? დიახ, ყოველი ნაბიჯი ამ ღვთის მიერ გონება-გამოფიტული და შეცდომის ვარსკვლავზედ გაჩენილი პარტიისა ყოველთვის შემცდარი გამოდგა. და აი, ახლა შესცდა იგი თვით მეორე ინტერნაციონალისადმი მიმართულ პოლიტიკაშიც კი. შესცდა იმ დაწესებულების მიმართაც კი, რომელიც მისი სულიერი სამყაროა და გონებრივი წიაღია. დღემდე მენშევიკებს მეორე ინტერნაციონალში წარმომადგენელად ბ-ნი ირ. წერეთელი ჰყაყვდათ. თუ ბ-ნ ირ. წერეთელს საქართველოზედ აროდეს ბევრი არ უფიქრია, პირიქით მარქსიზმისათვის დიდი ღვაწლი გაუღია, დიდი სამსახური გაუწევია. მან დასტურ სიმტკიცით იბრძოლა და ვაჟკაცურადაც ეჭამა ამ იდეისათვის. „მიეცთ უფალსა უფლისა და კეისარსა კაისრისა“-ო, ბრძანა მაცხოვარმა, და ჩვენც უნდა გულახდილად აღვნიშნოთ ის ურყეობა, რომელიც ბ-მა ირ. წერეთელმა სოციალიზმისათვის ბრძოლაში გამოიჩინა.

ბ-ნ ირ. წერეთელს დიდი სამსახური მიუძღვის აგრეთვე რუსეთის რევოლუციისადმი. იგი იყო ფრიად ერთგული მინისტრი კერენსკის დიქტატურისა და მისი ერთგულობა ისეთი შეურყეველი მთლიანობისა გამოდგა, რომ ბ-მა ირ. წერეთელმა კერენსკის სასიამოვნოდ ჩვენ ეკლესიას ავტოკეფალიაზედაც კი უარი უთხრა და საქართველოს სამღვდელოების მანდატურნი, პეტრეს ქალაქში საგანგებოდ მისულნი, სადარბაზოდაც კი არ მიიღო.

იგივე ირ. წერეთელი „სოვეტების“ ერთი უმთავრესი დამაარსებელთაგანი ბრძანდებოდა.

მეორე ინტერნაციონალსაც ამგვარი პირები მოსწონს და ბ-ნმა ირ. წერეთელმა თავისი ზემორე აღნუსხული მოღვაწეობით ამ სოციალისტურ დაწესებულებაში დიდი პატივი მოიღვეჭა და ცოტაოდენი პირადი გავლენა მოიპოვა. ამიტომ, თუ კი მეორე ინტერნაციონალში საქართველოსათვის რაისამე გაკეთება იყო შესაძლებელი, ამას ისევ ირ. წერეთელი მოახერხებდა. გაზ. «თ.გ.» ხშირად დაუწერია, რომ მეორე ინტერნაციონალში ჩვენი ქვეყნისათვის არაფერი მნიშვნელოვანის გაკეთება არ შეიძლება, და ამის მიზეზებიც აუხსნია. მაგრამ ერთი რაისამე გაკეთება კია შესაძლებელი: ბრძოლა იმ ინტრიგების წინააღმდეგ, რომელსაც მეორე ინტერნაციონალში რუსის სოციალისტები საქართველოს წინააღმდეგ აწარმოებენ. ეს ფრიად უმნიშვნელო რამეა, მაგრამ ვინაითგან იქ მენშევიკებს თავისი წარმომადგენელი მაინცა ჰყავსთ, ეს მცირედი საქმე მაინც უნდა გაეკეთებიათ. „ყვავს რომ კაკალი გააგდებინო, ისიც კარგია“-ო—და ჩვენც ვიმეორებთ, რომ თუ კი ვისმე შეეძლო ამ მეორე ინტერნაციონალის ყვავისათვის, რომელიც შავი სიკვდილის ხმით დასჩახავის კაცობრიობას, ერთი კაკალი მაინც გაეგდებინებია, ეს ისევ ბ-ნ ირ. წერეთელს. ჩვენმა ბრძენთა-ბრძენმა მენშევიკებმა კი ირ. წერეთელი მოხსნეს წარმომადგენელობითგან და მის ნაცვლად მეორე ინტერნაციონალში ბ-ნი კ. გვარჯალაძე წარგზავნეს,—ე.ი. ადამიანი, რომელსაც არავითარი ღვაწლი არავისადმი არ მიუძღვის. ეს გასაგებიცაა: არარაობითგან მხოლოდ არარაობა წარმოსდინდების. არავითარი ღვაწლი მეთქი რომ მოგახსენებთ, ჩვენ მხედველობაში ვიღებთ იმ გარემოებას, რომ ბ-ნი გვარჯალაძე ლონდონში „საქართველოს წარმომადგენლად“ ყოფნის დროს, ვერ შესწვდა რა თვით სოციალისტურ მინისტრებსაც კი, მათ «კონსიერჟებს» დაუმეგობრდა. ერთი სიტყვით «ყურძნის სიყვარულით ღობეს აკოცა». იქნებ მისმა ამხანაგებმა ეს დიდ ღვაწლადაც ჩაუთვალეს? ჩვენ კი ღობის კოცნა ნაცარ-ქექიაობად მიგვაჩნია ერთი ა.მისთანა ღობის კოცნია ელჩი სტამბოლშიცა გვყავდა დამოუკიდებლობის დროს. ეროს ახლაცა გვყავს ქეხეკაში: ჩვენი «დელეგატი» ხარიტონ, და ერთიც რუსი ბ-ნი აიოლო ჩეხიაში. მაგრამ ამას სხვათა შორის მოგახსენებთ.

ირ. წერეთლის გადაყენება [illegible] ინტერნაციონალისა და განხეთქილებისა, რომელიც მენშევიკთ [illegible] ბრძოლობს.

ხოლო ჩვენ დარწმუნებული ვიცით, რომ მეორე ინტერნაციონალში ბ-ნი გვარჯალაძე აბუჩადაა აგდებული და არც კი უყურებენ. მას იქ არავითარი სიტყვა არ გაუდის და არც არავინ უგდებს ყურს მის «აბდა-უბდა-გადასკუბდასა». ამნაირად მენშევიკურმა მთავრობამ თავისი უგუნურობით მეორე ინტერნაციონალშიც დაჰკარგა ნიადაგი და ირ. წერეთლის მიერ მოპოვებული მცირედი პირადი გავლენა. ჩვენ, რასაკვირველია, ამას იმიტომ არა ვსწერთ, რომ ეს გარემოება გულს გვიკლავდეს, არამედ მხოლოდ მენშევიკების უგუნურობის გამოსამჟღავნებლად.

მაგრამ უფრო საგულისხმო მოვლენა შემდეგია. ამას წინედ მეორე ინტერნაციონალის აღმასრულებელმა ბიურომ იაპონიის წინააღმდეგ მიმართული დადგენილება გამოიტანა. ამ დადგენილების ძალით მეორე ინტერნაციონალის ყოველი წევრი უნდა შეებრძოლოს იაპონიას ამ უკანასკნელისა და რუსეთის შორის ატეხილ სამხედრო კონფლიქტის დროს. გასაგები და ბუნებრივია, რომ მეორე ინტერნაციონალი მესამეს ეკომაგება. მაგრამ რა ნაირია ამ დადგენილების შემდეგ ბ-ნი ჟორდანიას პარტიის--მთავრობის მდგომარეობა? ჩვენ ვიცით, რომ ბ-ნი ირ. წერეთელი და მისი მომხრენი იაპონიის წინააღმდეგ მიმართულ მეორე ინტერნაციონალის პოლიტიკას სავსებით იზიარებენ. ბ-ნი ირ. წერეთელი თავის მეორე ინტერნაციონალისადმი დამოკიდებულებაში სავსებით ლოგიკური და ლოიალური რჩება. მას მსოფლიოს და მაშასადამე საქართველოს ბედიც მარქსიზმის გამარჯვებასთანა აქვს დაკავშირებული. მისი გონება შეზღუდულ-შემოფარგლულია მეორე ინტერნაციონალის რკალით და იგი მოჯადოებულივით ბავშობითგავნე შიგა ტრიალებს. ამ სირამდვილის გზითგან გადავარდნილ ადამიანს ისე გამოეპარა ცხოვრება, რომ იმასაც კი ვერ ხედავს, თუ როგორ იმარჯვებს მსოფლიოში ფაშიზმი მარქსიზმის მაგიერ და რომ კაცობრიობის ბედის გადამწყვეტი. დღეს უკვე თუ არაა, ხვალ მაინც ფაშიზმი იქმნება. ერთი ღირსება კი აქვს წერეთელს: იგი არავის არ ატყუებს და ვისთანაც არის, ლოიალურია.

მაგრამ ბ-ნი ჟორდანია? თუ ჟორდანიას გულში იაპონიის მიდგომა აქვს განზრახული, მაშ მეორე ინტერნაციონალს ატყუებს, თუ არა და ღალატობს საქართველოს და თავის მთავრობის თავმჯდომარეობა, რომელსაც აგერ თორმეტი წელიწადია ებღაუჭება, ვით წყალ წაღებული ხავსსა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ დღეს იგი ყოყმანშია: ვერ გადაუწყვეტია, ვინ მოატყუოს და რომელს უღალატოს. ერთი მხრით ხელს აწერს მეორე ინტერნაციონლის დადგენილებას, მეორე მხრით თავის დაქირავებულ „ჩინოვნიკებს“ სხვა და სხვა ლეგაციებში დაარბენინებს, თუმცა სწორე ცნობები გვაქვს, რომ ეს სირბილი უნაყოფოა: ჟორდანიას მთავრობას აღარავინ ენდობა. მაგრამ ისიც ვიცით, რომ იგი ვერ გაბედავს მეორე ინტერნაციონალს ვაუდგეს და დღეს კიდევაც რომ შევიდეს იაპონიასთან რაიმე ჩუმ შეთანხმებაში, მოქმედების დროს უღალატებს, როგორც უღალატა ყველას, თავისიანებსაც კი. ამნაირად საბოლოოდ ჟორდანია ატყუებს საქართველოს, რათგან რიღას მთავრობაა და რა უფლებით ატარებს იგი ამ სახელს, თუ რუსეთ-იაპონიის ომშიც არ ისარგებლა?

დღეს მთელი ქართველი ერი გულის-ფანცქალით ელის რუსეთ-იაპონიის ომს, რომელიც მისი ხსნის მომასწავებელია და ამ დროს კი მისი „მთავრობა“ რუსეთის გვერდით ირაზმება და რუსეთს უწვდის დახმარების ხელს საქართველოს მსხვლთა წინააღმდეგ! ერთგული და მოვალეობის შემგნები მთავრობა აბა სწორედ ესაა!!

სოლომონ მაჭავარიანი.

პოლიტიკა და ჭაზირა

ერთმა მეგობარმა გამანდო თავისი საიდუმლო ფიქრები „პოლიტიკაზედ.“

მან არ დაიწყო, როგორც ერთმა ცნობილმა მოღვაწემ, ამ სიტყვის ბერძნული ფუძის განმარტებით, არამედ პირდაპირ მიუდგა საგანს ქართული სინამდვილის-და მიხედვით.

გამოირკვა ჩვენი ბაასითგან, რომ თანამედროვე ქართველს და მეტადრე ძველ ბელადებს აქვსთ თავისებური წარმოდგენა პოლიტიკაზედ. ამ თავისებურობითგანაც წარმოიშვა „პოლიტიკის გარეშე დგომის“ საკითხი და კიდევ უფრო შესანიშნავი „პოლიტიკის გარეშე დგომის“ «პოლიტიკა». ჩემი მეგობრის აზრით არის მთელი რიგი პიროვნებათა, რომელთა აზროვნების შინაარსი დამახასიათებელია პოლიტიკის საკვირველად გაგებისათვის. დამისახელა კიდეც რამოდენიმე პირი.

ერთ მათთაგანთან დაახლოებულმა ნაცნობმა დაადასტურა ეს და დაასკვნა: «ჩვენიანია და ამიტომ ვენდობით. როცა დაჭკრავს ქამი მოქმედებისა, თქვენცა გმართებსთ დაგვეხმაროთ, ე.ი. დაარწმუნოთ იგი, რომ დროა გვიწინამძღვროს და შეუდგეს საქმიანობას, როგორც შეჭფერის ბელადთა-ბელადს... სხვა კაცი ხომ არა გვყავს!“

უთუოდ ხაზირაც მართალია, როცა სტირის: „ჩვენში კაცის პოვნა ძვირია, ძვირი, ამისთვის ვნაღვლობ,—ვსტირი და ვსტირი.“—

ერთი რამ ახასიათებს ჩვენ პარტიულთა წარმოდგენას „პოლიტიკაზედ.“

ჩემი მეგობრის აზრით პოლიტიკა იგივე ხელობაა, რაც მიკიტნობა: ერო მუშტარს წონაში მოატყუებ, მეორეს ხარისხში და გახდები ლიდერად,—ოსტატად. პოლიტიკა-მრუშობაა და თხოულობს მრუდე ბილიკებს, მრუდე განმარტებათ.

(მრუდე უძვირფასესი სიტყვაა ერთი დიდი ლიდერისა). პოლიტიკოსი გახდა ჩვენში სინონიმად ფირალისა!—გახდა?..მაგრამ ვინ იცის, შეიძლება მართალი არის ის, ვინც ქადაგობს პოლიტიკურ სიძკას, რათგანაც ჩვენი წარსული დიდება იქნებ სწორედ ამაზედ აშენდა...თუ ჩვენმა მეფეებმა შეჰქმნეს და დაიცვეს საქართველო, მათ უთუოდ ექმნებოდათ ზედმიწევნით შესწავლილი და შეგნებული პოლიტიკური მოქმედების სიბრძნე, ყაჩაღობა, ფირალობა, სიძვა და მრუშება...ამის საუცხოო მაგალითი იქმნებოდა „ვეფხის-ტყაოსანიც“—საუკეთესო ნიმუში გარყვნილებისა,რომელზედაც აღმოცენდა ოქროს ხანა-

დღევანდელ პოლიტიკოსს ვერ მოატყუებს საქართველოს მემატიანე, რომელსაც უქია სახელი დავითისი, დამცველი უბადრუკთა, სამართლიანი და ღვთის მოყვარე!..

თანამედროვე ბელადს ვერ აჯობებს გვირგვინოსანი, მატარებელი სიცრუისა და სიყალბისა, რომლის ოსტატობაც ამ დარგში ისე შორს მიდიოდა. რომ თვით დაეყრობილი, გაუბედურებული და მოტყუებული მეზობელიც კი სამუელ ანელის და მათე ედესელის პირით ქებათა-ქებას ასხამს და ადიდებს, როგორც უზენაესი სამართლიანობის და ქრისტიანობის განსახიერებას. და როგორ თუ უნდა აჯობოს რომელიმე „ტყის მეფემ“ დღევანდელი ქართული დემოკრატიის კულტუროსან ბელადებს! —

დღეს „პოლიტიკაში“ დახელოვნებულ მოღვაწეს მართებს კიდევ შეგუების და მრუშების გაღრმავება. ამაშია გასაღები წარსულისა და მომავალი დიდებისა. „მე ასე ვფიქრობ...მე ასე მჯერა...შენ გაირყვნები...ისე ტლანქად, როგორც არავინ გარყნილა ჯერა,“—და მაშინ საქართველო აღსდგება.

პოლიტიკურ თვალთ-მაქცობის მრუდე სარკეს კი ფარისეველი მემატიანე ისედაც აღნიშნავს თავისებურად: „აღსდგა პირი დავრდომილი ჩვენ ქრისტეანეთა! ქრისტეს მიერ საბრხე შეიმუსრა და ჩვენ გ ა ვ ე რ ე ნ ი თ ! შეწევნა ჩვენი სახელითა უფლისათა, რომელმან შექმნა ცანი და ქვეყანა! ქრისტე აღსდგა და აღმადგინნა მონობისაგან მტერისა!“

მართალი უნდა იყოს ჩემი მეგობარი. ჩვენი ძველი ბელადების ნაცადი ოსტატური გზით აშენდება ქვეყანა. ქართველობა კი, რომელსაც აკლია „პოლიტიკოსის“ ზნეობა, უნდა დარჩეს „პოლიტიკის გარეშე“ და იზმაროს საკმარისი ძალ-ღონე და ნების-ყოფა, რომ მორჩილად მაინც მისდევდეს ბელადთა კვალს.

ჩვენ კი რა გვეშველება? უთუოდ ჰაზრაც მართალია, როცა მღერის: „ჩვენია ბრალი, დავკარგეთ კვალი, აღარ გვაქვს ძალი, წაგვართვეს ნება. ბაღში ვარდები გამეზარდები, გულში დარდები აღარ მექნება.“

მეგობართან ბაასმა მეტად დამაღონა. აბა, რა საფუძველზედ უნდა მოხდეს ქართველთა გაერთიანება? შეთანხმების მიზანი ალბათ პოლიტიკურია. და თუ პოლიტიკურია, პოლიტიკის გარეშე ხომ ვერ დარჩები! და თუ ვერ დარჩები, მგონია, აუცილებელია, მაინც ერთი პოლიტიკისა ვიყოთ. სხვანაირად, რა ვიცი, შეთანხმება ძნელი უნდა იყოს.

ერთ პოლიტიკურ პარტიას აქვს მიზნად მსოფლიო პროლეტარიატის გაერთიანება, მეორეს—„შეგუების პოლიტიკა,“ მესამეს—კიდევ სხვა პოლიტიკა.

ერთი ჩემი მეზობელი კი იძახის, „სულერთია, რა პოლიტიკაც უნდა იყოს, ოღონდ ჩვენიანი სათავეში იყოსო.“—უთუოდ მართალია ჩემი მეზობელი, რათგანაც ვინმე ხომ უნდა იყოს სათავეში.—უთავოდ, მგონია, ქართველი ერი ვერ იარსებებს.

მაგრამ კიდევ უფრო გართულდა საქმე: „სათავეში უნდა იყოს დემოკრატიაო.“ მაგრამ საქართველოს რომელ კუთხეში იმალება ეს დემოკრატია, მე დღემდე ვერ გამიგია.

როგორც სჩანს, მდგომარეობა ძალიან გართულებულია.

კიდევ ერთი ნაცნობი მყავს, რომელიც აი რას ქადაგობს: „მენშევიკების უპირატესობა სხვა პარტიების წინაშე აშკარაა. მათი პოლიტიკა ნათელია: ეს არის მეორე ინტერნაციონალის პოლიტიკა. მას აქვს საფუძველი და მიზანიც. ამიტომ მენშევიზმი ჩვენში, როგორც არ უნდა იყოს იგი ორგანიზაციულად დაყოფილი და დასუსტებული, მაინც ძალაა. და მე ძალას ვემსახურები, რათგანაც მუდამ ძალას ვემსახურებოდიო.“ ვიცი, რომ მართალს ამბობს ეს ადამიანი, რათგანაც რუსეთის მთავრობას თავის დროზედ ძლიერ ერთგულად ემსახურებოდა. ესეც იქნება შეგუების პოლიტიკაა. მაგრამ ერთი რამ არ მესმის: ქართველთა გაერთიანება და საქართველოს ბედი აქ რა შუაშია?

დღევანდელ პირობებში, მე ვფიქრობ, რომ მაქვს უფლება მწამდეს საქართველო უწინარეს ყოვლისა და არ ვითანაშრომლო მათთან,ვისი მიზანიც სულ სხვაა.მაგრამ ჰაზრაც უთუოდ მართალია, როცა იძახის: „ღმერთმანი, მტერს ბოლო მოეღებოდა. ჩვენ რომ ყველას ერთი პირი გვქონოდა!“ — ღმერთო, როდის გამოირკვევა, ჰყავს თუ არა საქართველოს მტერი?

გიორგი საფარელი.

„კეთილ სიტყვას კეთილი საქმე ეპირვება“

ხელთა მაქვს „დამოუკიდებელი საქართველო“ მაისის ნომერი. პირველ გვერდზედ «26 მაისი»-ს სათაურით მოთავსებულია ბ-ნ ხიდ ყორდანიას ხელმოწერილი წერილი. გულიხამოვნებით აღგვსებდა გაცს! რა საღი და სწორი აზრია გამოთქმული ეროვნული ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, რაოდენ შესაფერია ქართველი ერის ცხოვრების საჭეთმყრობელისათვის მისი უზენაესი უფლების გამოხატვისა ვის. იმედი იზრდება, სისარული მატულობს, ამ ადამიანმა პირი აქეთ მოიბრუ ა, საქრისტიანოსაკენ, საქართველოსაკენ. მოიხედა. .მოიხედა სავსებით, გადაჭრით, ერთხელ და სამუდამოდ! «ერმოლა თავისუფლებისათვის შეიძლება მხოლოდ 26 მაისის მეთოდით; მარტო ღმერთო,ღმერთს მაზილით სამოთხეში ვერავინ შვა. კეთილ სიტყვას კეთილი საქმე ეჭირვება». უდავოა, 26 მაისი—ეს ჩვენი ნეტანდარეჯანია, ჩვენი ერმნოების და ეროვნების სათაყვანო და სატრფიალო დღე. «ტვოებითგან» დასახლნელი, ეფდოფლად დასახსმელი და ეს მარტო ღმერთს, ღმერთს მახილით მიუწდომელი და მიუხწეველია.

საჭირო ერძოლა...ბრძოლა ყოველგან, ყველა ფრონტზედ, მთელი ერის გაერთიანებული ძალით, და განა ამას არ ვამბობ ი ჩვენც, ამ 8 წლის განმავლობაში, დაყინებიო? ვკვლი ამოვნეულ,რომ ღღეს მაინც, ბოლოს-და-ბოლოს ნოემბრ ბრძა. ნა, «ეთილს სიტყვას ეთილი საქმე ეჭირვება»-ო. დიახ, მთავარი საქმეა და არა სიტყვა. ეგ სახარებაშიც ასე სწერია ძაერაე რა მოკლე ხნის არის ჩვენი აღტაცება.

გადავხედოთ ახლა იმავე მაისის თვის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანოს «ბრძოლის ხმას». ყოველივე გაქარწყლდა,გაიპარა «ვითა სისხმარი ღამისა...«ბრძოლის ხმაში» ერთი სიტყვით. ერთი ბეკარითაც არა არის რა თქმული 26 მაისზედ, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეზედ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მოწინავე წერილს,ისიც უნ ზო, ჩეზოსლოვაკური სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მოლოცვა, სადაც უპირველესად პირველ მაისს, საერთაშორისო მუშაობა დღესასწაულს ულოცავს იგი ქართველებს, თითქოს ქართველი ერი ბზოლოდ სოციალ-დემოკრატიისაგან შესდგებოდეს, და მემდგ. სხვათა შორის 2 მაისსაც.

ჩვენ კარგად ვიცით,რომ იგივე ნოე ყორდანია არის მამათმთავარი და სულის ჩამდგმელი სოც. დემ. პარტიისა, ის არის თავმჯდომარე, ხელმძღვანელი, გული და გონება ამ პარტიისა და მისი აზრისა, მიმართულებისა. მისი ორგანო «ბრძოლის ხმა». აქ კი ნოე ყორდანია სდუმს. თუ იგი «დამოუკიდებელ საქართველოში» 26 მაისის პატრიოტია, აქ—«ბრძოლის ხმაში» ის 26 მაისზედ სდუმს,—ინტერნაციონალისტი და კოსმოპოლიტია; აქ ამაზედ ლაპარაკი არ ეხერხება, არა ხერხ არც მას და არც მისთანა მოსანგრეებს...აქ სულ სხვა დღეა სადღესასწაულო, მუშათა დღე პირველი მაისი...ადამიანს ეგონება, რომ ორი ნოე ყორდანი არსებობს. ერთი, რომელიც საქართველოში ხეხოვრობს სულიერად და ჭფიქრობს, აზროვნებს, სწერს ქართულად «დამოუკიდებელ საქართველოში»; მეორე, რომელიც მარქსის სამეუფოშია, სადღაც საერთაშორისო პროლეტარიატის სამფლობელოში

. რომელი ვიწამოთ, რომელს დავუჯერეთ, რომელს მივყოთ, რომელია მართალი, ნამდვილი. ულსწრფელი? დუმილი თუ თქმა? სიტყვა თუ საქმე? ამ კითხვაზედ პასუხს ჩვენვე მივეზეგთ: არც ერთი! ეგ არის უბედურება, ეგ არის მთავარი მიზეზი, რომ ქართველი პატრიოტები ნოე ყორდანიას პატრიოტიზმს ვერ დაიჯერებენ და არ ენდობიან.ეს იქნებ მას ხაკლება ი აიხტერესებს, მაგრამ იგი, ამით სოც ალ-დემოკრატიულ პარტიაშიაც ჭკარგავს ნდობას, ეს არის მისი ხანგრძლივი თვალთმაცცობის და ცბიერების შედეგი. და თუ იქაც, სოციალისტურ განაკვეთზე ბოლოდ და ჭკარგა ნდობა, მაშინ კი ცარიელ-ტარიელი დარჩება ჩვენი «დიდი ნოეგ» და ვერავითარი საეუალებით ვერ აღიდგენს დაკარგულს სახელს. ნდობის დაკარგვა ნიშნავს პატივისცემის დაკარგვასაც და ამია ნიშნებს უკვე ვხედავთ. არა სახიაეოვნოდ ეროვნულად უნდა ჩაითვალოს, რომ ნოე ყორდანია, საქართველოს პრეზიდენტი, ვერ არის ქართული სახოგადოების მთლიანი და შესაფერისი პატივისცემით კარს შემორტყმული. ეარძოუდგენელია პრეზიდენტი შემოდიოდეს დარბაზში, სადაც ქართველეგია თავმოყრილი, და მისი შემოხვლა იმდენად ეყურადგებოდ იყოს დატოვებული, რომ არავინ ფეზზედ არ ადგეგა 1), ეგ უზრდელობა კი არ არის, ვეულურობაა. ის, ვინც პატივს არ სცემს თავის ქვეყნის პირველ მოქალაქეს, ერის მიერ უწარჩინ კულს პირად მიჩნეულს.ის არც თავის თავსა სა სცემს პატივს და არც ერის შეთაურის ღირსებულება ეს-მის და არც საკუთარი თავისა—მოქალაქისა.

მაგრამ ნოე ყორდანიამ ვერ შექმნა ასეთი ატმოსფერა მისი პირველობის ირგვლივ, ვერ შესძლო ეერძნო თავისი თავი იმ სიმაღლეზედ, რომელზედაც ქართველმა ერმა ის აიყვანა და აგერ...ქვეშ, პარტიის პატარა და დაბალ საფეხურზედ აგაგუნებს ფეხებს. ის ვერ შეიქმნა ძიუდგომელი უფროსი, ვერ შეიქმნა, ვერ დააყარა თანაბარი განწყობილება ქართველი ერის ყველა წრეებთან, ქართველ მოქალაქეებთან, ვით ეს მეჭფერის შაშასა და პატრონს. პირ-იქით, ის სავსებით მიუდგა ერთს ნაწილს, ერთ უმცირესს პროლეტარიატს, წმინდა მარქსისტულად, და სხვები არა თუ უყურადღებოდ დასტოვა, არამედ მტრად გადაეკიდა მათ და დღვნა დაუწყო როგორც იქ, საქართველოში, აგრეთვე აქაც, ემიგრაციაშ . ის ამბობს «ერის ყველა სახიცოცხლო ძალის ერის უღელში შებმა» ო, მაგრამ საქმით კი ის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის კრებსს ვერ გასცილდა.—შეიძლება არჩევნებში ხმა არ მისცეთ ,ამა თუ იმ პირველობებას, შეიძლებამ მას ებრძოლოთ იდეურად, მაგრამ როდესაც ის უკვე არჩეულია და იკავებს ადგილს მთელი ერი წარმომადგენელისას, ქართველს მოქალაქეს უფლება არაა აქვს მის ხინამე, სადაც არ უნდა იყვეს, მოწინეებით და პატივისცემით ქუდი არ მოიხადოს;მხოლოდ ამის საშუალება, უკეთ რომ ვსთქვათ, ამ სიყვ.რულის და პატივისცემის ეერძნოების განცდას თვათ ერის მეთაურმა უნდა შეუყოს ხელი და უნდა იდგეს თავის დიდი ეოწოდების სიმაღლეზედ.

ერთის თქმითა,შეორეს კეთემით კი ვერავის დააჯერებს ნოე ყორდანია, თუ არა იმათ, ვინ თავს განძრახ ეულუბრყლოდ იკატუნებს. სიტყვა ცარიელ სიტყვად დარჩება და საქმით კი შეორე ინტერნაციონალის რეზოლუციები, რომელიც საქართველოს ინტერესებს და 26 მაისს არ ეგუმეა და დღევანდელ პირობებში სრულებით მწინააღმდეგება და ვნებას აყენებს მას.

მეგობარი.

1) ნოე ყორდანია ძალიან ძვირად ჩნდება ქართულ სახოგადოებაში, სულ ერთჯერ ნელიწადში. ზემოდ აღნიშნული ამგავი მოხდა წრეულს 26 მაისს.

მენშევიკების „ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა“

„ბრძოლის ხმის“ მე-24 ნომერში დაბეჭდილ წერილზედ “გამდგართა საქმიანობა“ ჩვენი პასუხი თვით მენშევიკების მთავრობის თავმჯდომარისა და ს.დ. ბიუროს „საქმიანობის“ უკანასკნელი მაგალითია, – ბერლინში მყოფ საქართველოს ელჩის ბ-ნ ვლ. ახმეტელის ყოვლად შეუწყნარებელი მოპყრობის საბუთები, რომელმაც ჩვენამდე მოახწია და რომელსაც მკითხველის მიერ განსასჯელად ვბეჭდავთ. ‘‘Croisade’’-თან დაიქ დაბეჭდილი წერილის ავტორთან ჩვენ საქმე არა გვაქვს, არცა გვქონია და არც გვექმნება, ხოლო ემიგრაციის ისეთ ელემენტთაგან, რომელნიც ეს მეთორმეტე წელიწადია ქართველ მოქალაქეთ ცილსა სწამებენ და სდევნიან, ხრწნიან ზნეობრივად ემიგრაციას შიგნით და ქართველობას თავსა სჭრიან უცხოთა წინაშე, რომელნიც აღარც თავიანთი პარტიის წევრებს ზოგავენ, თუ მათ სინიდისის ნატამალიც კი მეამჩნიეს. ყოველთვის ვიქმნებით გამდგარნი, და, ფრთხილად, ბატონებო! ისე არ წაგვიდესო საქმე, რომ მალე მთელი ემიგრაცია და მთელი საქართველო „გამდგარად“ დაგჭირდესთ გამოაცხადოთ!

რედაქცია,

ნ. ყორდანიას წერილი ვლ. ახმეტელისადმი

19 აპრილი, 1932 წ.

ძვირფასო ლადო,

ეს წერილი კარგა ხანია უნდა მწერა. „ჩაფრთა“ ბოროტმოქცელობამ შემიშალა ხელი და ახლა გწერ. ის ერთი ხანია მესმოდა, რომ შენ ოპოზიციაში ხარ. მაგრამ კარგად და ამაც ვიცოდი, რაგვარ ოპოზიციაში. მას შემდეგ რაც ჩემი თვალით ვნახე შენი განცხადება შესახებ მხარის დაჭერისა წერეთლის ჯგუფის კანდიდატის საღირაშვილის სასარგებლოდ, დავრწმუნდი, რომ ხმები ყოფილა მართალი. გამოირკვა, რომ მხარს უჭერ და ამაგრებ იმ მიმართულებას,რომელიც ებრძვის მთელ ჩვენ ნაციონალურ ხაზს. ამავე დროს ვიცი ისიც, რომ ბერლინში მხაოს უჭერ მემარჯვენე ელემენტებს, რომელნიც ებრძვიან მთავრობასა და ერთ ფრონტს. იქამდისაც კი მისულხარ, რომ კოლონიის არჩევნებში შავი მიგიცია სოციალ-დემოკრატი კანდიდატისათვის და თეთრი ფაშისტისათვის. ახლა მე აღარ ვიცი, რანაირად უნდა აიხსნას ეს ორი გარემოება, რანაირად შეიძლება ერთ და იმავე დროს ემხრომოდე წერეთლის ჯგუფს და კერესელიძისას, ეს რაღაცა გაუგებრობაა თუ მოფიქრებული ტაქტიკა—გაამაგრო ყველა ფრთა ვინც კი ჩვენ გვებრძვის. ამის პასუხს მოველი.

ამ წერილს და ამ შეკითხვას არ მოგწერდი რომ არ იყო მთავრობის წარმომადგენილი ბერლინში. ხოლო მთავრობის წარმომადგენელს არავითარი უფლება არა აქვს ამაგროს ის ხალხი, ვინცანგრევენ მთავრობის მუშაობას—მთელ პოლიტიკურ ბაზას—ერთის მხრით სოც.-დემ. ცენტრალურ დაწესებულებას, მათ პოლიტიკურ და პარტიულ ხაზს, მეორე მხრით მთელ გაერთიანებულ ფრონტს და მასში შემავალ პარტიებს და ორგანიზაციებს. ასეთი პირის ნდობა მე ვერ მექნება და ვერ მივანდობ ჩემ წარმომადგენლობას. რასაკვირველია, მე სრულებით არ ვარ წინააღმდეგი თითეული პირის აზრისა და მოქმედების თავისუფლების, ეს მისი სვინდისის საქმეა, მაგრამ როცა ეს მისი სვინდისი ვერ ეტევა მისი თანამდებობის ჩარჩოში, ვალდებულია ეს განაცხადოს და თანამდებობა დასტოვოს.

აი, ამ ორ საკითხზე მოველი განცხადებასა და პასუხს.

სალამით და კარგად ყოფნით ნ. ყორდანია

ვლ. ახმეტელის პასუხი

დიდად პატივცემულო ბატონო ნოე!

მივიღე თქვენი წერილი ამ წლის 19 აპრილიით დათარიღებული.

მოგისურვებიათ ჩემი რწმენისა და სინიდისის რვეზია. ვეცდები სრული და მარტივი პასუხი გაგცეთ:

1919 წელს ჩავიბარე განთავისუფლებული საქმოზლოს წარმომადგენლობა გერმანიაში. მას მერე ვმუშაობ როგორც სინიდისი, გონება და გამოცდილება მიკარნახებს. შევიძინე გავლენა იმ ერის მთავარ სახელმწიფოებრივ წრეებსა და დაწესებულებებში, რომელთანაც ჩვენი ხალხის პირველი ელჩობა მარგუნა ბედმა. ძინაურობაში არ ყოფილა არც წრე, არც ჯგუფი, არც პარტია, არც კერძო ვინმე პირადენა, რომ უსამართლოდ დამეტოვებინოს, უკეთუ რჩევისა, დახმარებისა და დაცვისათვის მოუმართავს.

თუ ვინმე გამიკვირდება, მხოლოდ იმ განზრახვით, რომ დამებრუნებინა სწორ გზაზე, რათა დამყარებულიყო ჩვენს აქაურ ცხოვრებაში ერთობა,—ფორმალური და ზერელა კი არა, არამედ ნამდვილი.

მხოლოდ ასეთი ვზით მავალთ შეგვიძლია მივაღწიოთ ჭეშმარიტ თავისუფლებას, დამოუკიდებლობას და ბედნიერებას ჩვენი ქვეყნისა.

მე არადროს არ მქონებია აზრად დამეყო საქართველოს მოქალაქენი რამდენსამი ხარისხად; ყველას თანასწორად და მიუკერძოებლად ვუყურებდი.

არც არადროს მქონებია ხურვილი, –გამწვავება, არევ-დარევა შემეტანა მოქიშპე ჯგუფთა კრძოლაში.

პოლიტიკაში უფრო, ვიდრე სხვა სფეროში, უპირველს ყოვლისა საჭიროა ზნეობის, მორალის დაცვა და სრული წრფელობის გამოჩენა.

ამის შემდეგ გასაკვირველია საყვედურის მოსმენა: ოპოზიციაში ხარ.

ნუ თუ თქვენ და თქვენი თანამშრომელნი სთრგუნავთ ზემოაღნიშნულ პრინციპებს და მიმართულებას, რომ ასეთი მეჭვი დაგებადათ ჩემს მიმართ?!

მაყვედრით, რომ ვუჭერ მხარს ირაკლი წერეთლის «მიმართულებას, რომელიც ებრძვის მთელს ჩვენს ხაზსო» ჯერ ერთი, მე არავითარ ჯგუფს არ «ვუჭერ მხარს», მერე, საინტერესოა, ვიცოდედ ყველამ, თუ რამი მდგომარეობს ირაკლი წერეთლის და მისი ჯგუფის ბრძოლა «ჩვენს ნაციონალურ ხაზთან». თუ მართლაც დასაწუნია, ხომ ვალდებულნი ვართ, შევებრძოლოთ ყველანი მავნე მიმართულებას. ახლა კი ამის შესახებ გარკვეული არაკინ იცის.

მიკიჟინებთ, დავით საღირაშვილს დაუჭირე მხარი კონფერენციაზე დელეგაციის არჩევის დროსო. ჯერ ერთი, რომ დ. საღირაშვილი, რამდენადაც მე ვიცი, არც გრ.თ ჯგუფს არ ეკუთვნის. მერე, სხვა კანდიდატებთან შედარებით ეს პიროვნება, ჩემის თვალსაზრისით, მიმაჩნია უფრო სანდოდ და უფრო ღირსეულად. ეს დასაძრახისი სრულებით არ არის, ეკეთუ ჩემი ქცევის დამწუნებელი არ ამოდდა სამართლიანობის გზას.

თქვენ იხსენებთ აგრეთვე ძველ ამბებს, უკეთ ათასჯერ ახსნილსა და განმარტებულს. მიწუნებთ, რომ კოლონიის თავმჯდომარის არჩევის დროს ხმა მივეცი არა სოციალ-დემოკრატს, არამედ «ფაშისტს». როგორც თქვენ უწოდებთ ბ-ნ გ. კერესელიძეს. ხეტა ეს საყვედური რომელი სახით არის მოქართული? როგორც საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის, თუ როგორც სოციალ-დემოკრატიული პირტიის საზღვარ-გარეთის ბიურეს თავმჯდომარის მხრით? ორივე შემთხვევაში უნდა მოგახსენოთ, რომ კოლონიის საზოგადოება პოლიტიკური ორგანიზაცია კი არ არის, არამედ საზოგადოებრივ-კულტურული დაეხმარე დაწესებულებაა. პოლიტიკა და პარტიოლა აქ რა მოსატანია?! საზოგადოების სათაკეში უნდა იდგეს უნარიანი, საკმაოდ მეძლებული პიროვნება, რომ უსახსრო დაწესებულებას ღირსეულად გაუძღვეს და შეასრულოს საზოგადოებრივი დავალებანი. ამ მხრით გასაკვირველი არ არის, რომ ბ-ნ გ. კერესელიძე ვამჯობინე მეორე კანდიდატს. გ. კერესელიძეს მოეხერხენი ბევრი სხვა ჩვენი პარტიის წევრები აღმოჩნდა, თქვენი მხრითაც ეჭვ მიეტანელი. რომ ადამიანი, რომელსაც საახალშენო საზოგადოების თავმჯდომარის თანამდებობაზე ხმა მივეცი, მავნე და დასაწუნებელი არ იყო, მტკიცდება უცილობლად აგრეთვე იმითაც, რომ ბ ნ გ. კერესელიძეს პარიზში გადასხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლგის გამო აქაურმა ქართველობამ მიმართულების განურჩევლად ამასწინეთ დიდი სახგიმო გაცილება მოუწყო. საგულგულინო სახოგადოგბამ, რომლის დიდ უმრავლესობას სოციალ-დემოკრატეგი შადგგნენ, მოისურვა კიდგე ცალკგ, სპეციალური გამოსალმგბა მოეწყო ბ ნ ს. გეგელამეილის თავმჯდომარეოგით. ამ ჩსდომაზე სწორედ სოციალ-დემოკრატები მცილებოდგნ ერთმანგთს საქებურ სიტყვგბის წარმოთქმაში თქვენ მიერ «ფაშისტად» მონათლულ პიროვნეგისადმი და აღიარეს იგი ერთად-ერთ გამაერთიანებელ პიროვნგბად გერმანიის ქართველოგისა. შემდეგ ხომ თაიგულეგით გაგაცილეს სადგურზე.

ამას იმიტომ კი არ მოგახსენებთ, რომ ვინმე ვამხილო, არამედ იმიტომ, რომ მეტად სახიფათო და წასაბორძიკებელია წამ-და-უწუმ იმისთანა სიტყვეგით ვარჯიშ ბა, როგორიც არის «ფაშისტი», შემარჯვენე ენა სხვა.

ადამიანის გაკილვა და წუნისდადება ადვილია. საქმე ის არის, რომ ისეთ პატარა სახოგადოგბაში, როგორსაც ჩვენი ემიგრაცია წარმოადგგნს, საჭიროა გამოჩენა მეტი თავაზიანობის, მეტი სამართლიანობის ყოველი პიროვნებისადმი, რომ ერთოგა, ერთსულოვნება, ჩვენი დიდი საქმისათვის ასე აუცილებელი, საბოლოოდ არ დაირღვეს და მთლად არ ჩავიღუბნეთ აქ უცხოგთში მტრის გასახარგბლად. საიმისო გასაყოფი ხომ ჯერ არაფერი ეკვქვს?!

თქვენ მაწერთ აგრეთვე «შემარჯვენე ელემენტების» გამაგრეგას და მოძმრეოებასაც. მიკიჟინგბთ აქ უკანაურეოგას და თანვე მეკითხგბით, «ეაუგეგრეობაა ეს თუ წიხასწარ მოფიქოებული ტაქტიკა» ჩემი მხრით? ურიგო არ იქნებოდა უფრო დაწვრილებით განგემარტათ, თუ ვის ან რას ჰგულისხმობთ სიტყვგბში: «შემარჯვენე ელემენტები», «მოძმრეოება», «მხარის დაჭერა», «გამაგრგბა», გაგეიარტივგბინათ აგრეთვე თქვენი ბრალდგგანი; დაწვრილებით გადაჭრილ პასუხს მიიღებდით, თორემ ზერეგლად და ბითუმად ლაპარაკი არც მიზანშეწონილია, არც საკადრისი ერის წარმომადგენელისათვის არც ქანაოგბაა საკადრისი ერთი მხრიდან მეორგსკენ, არც მიკერძვა რომელიმე მიმართულებისა ან ჯგუფისა. თუნდა მოწინააღმდეგისა. მხოლოდ ასეთი მტკიცე ადამიანი დაიმსახურეს ღირსეულ სახელს.

მე ასე მესმოდა ყოველთვის ერის წარმომადგენლობა და, სწორე გითხრათ, მიკვირს, როგორ უნდა მკიჟინოს კაცს ასეთი პოზიცია. ასეთი თავის დაჭერა. ჩემი ფიქრით, სასახელო უნდა იყოს იმ მიმართულებისათვის, იმ პარტიისათვის. რომელსაც ვეკუთვნი.

უნებლიედ მომიხდა ჩემ თავზე ლაპარაკი, მაგრამ ამაში ბრალი მე არ მედგბა.

თუ ბერლინში სხვა ადგილგბისავით, ეკითის მადლით, არა მოიხდარა რა დასაძრახისი, ამაში ძრთი მცირეოდენი ღვაწლი შეიძლება მეც მიმიძღოდგს, მეტადრე უკანასკნელ დროს. აქ იქნება გაერთიანების ატმოსფერო: იმართება კულტურული მიზნით მშვიდობის ჩამოგდგები საღამოები, მოსსენებგბი, რომელიც ყველა ქართველს იზიდავს მიმართულების განურჩევლად.

დასასრულ უნდა ვთქვა,—არავის პირადი წარმოდადგენილი არ ვყოფილვარ და მაშასადამე არც არავის ცალკეულ ნდობას დავკარგავ ჩემი ბრძანებელი უპირველეს ყოველისა ერი იყო და არის. რაც მოვალეოგა მატვირთა მან ძთავრობის სახით, ამ მოვალეობის შესრულებას ფაქტიურად მე ვერავინ შემიშლის—მეტადრე ასეთ ძწვავე დამლილობისა და რღვევის დროს.

შეუძლიათ ძხოლოდ მოქისპონ მცირეოდენი გასამრჯელო, რომელსაც მაძლევენ. დიახ! ამის ქმნა შეუძლიათ. დაე, იკადრონ! ეს მათი ხინიდისის საქმეა!..ამის გარეშე კი მე ვერაფერს დამაკლგბენ.

ჩემი ნათელი ქცევა და ხანგრძლივი მუშაობა, რომელსაც ვერავინ შებღალავს, ნეგას მაძლევს პირდაპირ, გულახდილად, საჯაროდ განვაცხადო: «ჩემი სინიდისი ამ მხრით არავითარ ქენჯნას არგანიცდის. მე მზადა ვარ ყოველ ღირსეულ სამსჯავროს წინაშე წარვდგე უდრეკი და გულმართალი».

ღრმა პატივისცემით ვლ. ახმეტელი.

ბერლინი. 18 მაისი, 1932 წ.

საქ. ს.-დ. პარტიის პარიზის ბიუროს წერილი ვლ. ახმეტელისადმი

პარიზი, 6 ივნისი 1932.

ამხ. ვლ. ახმეტელს
ბერლინში.
ძვირფასო ამხანაგო,

ამასთანავე გიგზავნით ტექსტს დადგენილებისას, რომელიც ბიურომ მიიღო თქვენს შესახებ, ერთხმად, თავის უკანასკნელ სხდომაზე, ამა ივნისის 4-ს. გთხოვთ პასუხი გამოგზავნოთ დაჩქარებით ზემოაღნიშნული მისამართით: საქ. სოც.-დემ. მუშათა პარტიის საზღვარგარეთელ ბიუროს სამდივნო,

დ. შარაშიძე.

დადგენილება ამხ. ვლ. ახმეტელის შესახებ.

1. ნოე ჟორდანიამ მიმართა მეგობრული ფორმის წერილით ვლ. ახმეტელს გამოსარკვევად იმისა, თუ მართლა ეს უკანასკნელი არ იზიარებს მთავრობის და პარტიის ნაციონალურ ხაზს და ემხრობა ამ მოპირდაპირე ბანაკებს—ძველ ოპოზიციას (წერეთლისას) და თეთრ-გიორგელებს, რომელთა მოთავსება ერთ და იმავე პიროვნების მსოფლ-მხედველობაში იწვევდა ნ. ჟორდანიას განცვიფრებას.

2. ვლ. ახმეტელმა ნ. ჟორდანიას უპასუხა ოფიციალური წერილით, სადაც არ არის პირდაპირი პასუხი მიცემული; ავტორი ათავებს იმით, რომ ის საქართველოს წარმომადგენელია და მთავრობის კონტროლს არ ექვემდებარება. ამ მიწერ-მოწერას, რომლის შინაარსის განხილვაში და დაფასებაში არ შევდივართ, მოყვა შემდეგი:

3. ვლ. ახმეტელმა არ მოუცადა პასუხის პასუხს და ნ. ჟორდანიას წერილის პირი, ავტორის დაუკითხავად და ნებადაურთველად, თავის პასუხთან ერთად დაუგზავნა კერძო პირთ საზოგადო აზრის ასამხედრებლად ჟორდანიას წინააღმდეგ.

4. მან არ მიმართა არც პარტიულ, არც ნაციონალურ-ორგანიზაციებს, როგორიც არიან ბერლინის სოც.-დემ. ორგანიზაცია, რომლის წევრად ის თვით ითვლება, საზღვარ-გარეთელი ბიურო, მთავრობა და ცენტრი.

5. აუარა რა ასე გვერდით ამ კომპეტენტურ დაწესებულებებს, მან მიმართა ყველა ჯგუფს, გარდა სოც.-დემ. ბიუროსა და მისი ორგანიზაციებისა, და ამ აქტით საჯაროდ დაამტკიცა:

ა. თავისი გამოსვლა პარტიულ ჩარჩოდან სავსებით;

ბ. თავისი და ჟორდანიას მსაჯულებათ ჩვენი მოწინააღმდეგე ჯგუფების წამოყენება;

იღებს რა მხვედელობაში ყველა ზემოთ თქმულს, ბიურო ადგენს:

1. ვლ. ახმეტელის ასეთი ქცევის შემდეგ ბიუროსადმი, ის ვერ დარჩება მისი წარმომადგენელი გერმანიაში; ვ. ახმეტელის მანდატი გაუქმებულია.

2. მოეთხოვოს ახმეტელს წარმოადგინოს დაუყონებლივ თავისი ახსნა-განმარტება მისი ასეთი უჩვეულო მოქცევის შესახებ, რომლის მიღების შემდეგ ბიურო გამოიტანს საბოლოო აზრს ამ საგანზე.

ვლ. ახმეტელის პასუხი

პარიზი, 15-6-32.

ამხ. დ. შარაშიძეს.

პატივცემულო ამხანაგო! მივიღე თქვენ მიერ გამოგზავნილი ქაღალდი ამ წლის 6 ივნისით დათარიღებული. ეპისტოლეს შემდეგნენლი უწოდებენ ნოე ჟორდანიას წერილს, ჩემდამი მომართულს, მეგოგრულ წერილს. როდის აქვთია, ან სად, რომელ წერეთია მიღებული «მეგობრული» ეწოდოს ისეთ ქცევას, რომელიც გამოიხატება სიტყვა «ძვირფასის» ხმარებაში, ხოლო ცილის წამებისა და ჭორგვის გამოყრეაში და შეურაცხყოფის მიყენებაში? ნ. ჟ-იას წერილი არც უბრალო კეთილ ხასიათისაა, რათგანაც ვსვბა ჩემს ოფიციალურ წარმომადგენლობას და სამსახურს.

ჩემთვის ეჭვს გარეშეა, რომ ნ. ჟ-იას ეპისტოლე სრული მისი დაგნეულობის ნაყოფია. უკანასკნელ 4 5 წლის განმავლობაში ნ. ჟ. ხოვიერთ ვაუბატონების წყალობით და გავლენის ამაოდ ცდილობს ჩემი მრავალწლის ნამუშავარი წყალს გაატანოს და ამით თავისი გულისთქმა დაიკმაყოფილოს. მინაურეგაში მე არასდროს არ დამიძალავს, რომ ჩვენი ემიგრაციის დიდ უკეთურებას შეადგგნს, რომ სათავგში არ ჰყავს მაფალნენოებრივი ავტორიტეტი, რომელსაც ეგემლოს ყველა მიმართულების წარმომადგენელნი და პოლიტიკური მოღვაწენი შეაკავშირეს ერთ გამოშუშავებულ ერეკვნულ პლატფორმაზედ, რომ მეთაურის პირდაპირი მოვალეოგაა კი არ აცალკევებდეს და ჰთიშავდეს მებრძოლთა ჯგუფებს, ან დღეს ხან ერთს იახლოვებდეს და ხვალ მეორეს, არამედ ჭეშმარიტ ეროვნულ ხელმძღვანელს მეჰფერის განურჩევლად ყველა გულწრფელად აღსარებული ეროვნულ მიმართულების პატივისცემა და საერთო საქმისათვის გამოყენება, და რომ გაჩენრგბა ვიწრო ჯგუფურ ნიადაგზე ჩვენი დიადი საქმისათვის მეტად მავნებელია და ამიტომ მიუღებელი. ასეთი აზრის აღმსარგბელს, ასეთი ეეზის ამღებს სახალხო საქმეში რეგორ შემეძლო რომელიმე არსებული ჯგუფ ს მიჯრმეგა და შისი მხარის დაჭერა?! დღიდან ჩემი ელჩობისა გერმანიაში ამი ვერც ერთი ჩვენში ეგზენილი მიმართულება ვერ დამწამებს, ოდ ვალატობდგ ემიგრაციაში აღებულ ხაზს და რომელსამე განსაკეთრებულ მიმართულებას ვეკუდლებოდე. უკეთე კრალმდგბელი არ ასცდა ეეულწრფელობის, სამართლიანობის და ერისათვის სარგებლობის მიტანის გზასა.

დიახ, ნურას ეკაცრავად! ნურავინ ჩემულობს ერის ინტერესების მითვისებას და თავის მაღალფოლიად გამოცხადებას. დარწმუნებული ეს ბრძანდებოდეთ ყველანი, რომ მსურვებოდა ცალკე ჯგუფის მიმხრობა ან დაარსება, ამას საჯაროდ ვანაცხადებდი, საპოსო გამბედაობა შემწევს. ამიტომაც მოუპოდიმებლად მე ნ. ჟორდანიას იმ შეკითხვაზე, იუ რომელ «ბანაკს» ვეკეთვნი, აღმფოთებული უარყოფითი პასუხი მიეცემ, როგორც მკადრეგოდა ასეთ ქცევას. ვის აქვს ნება, პოლიტიკური რწმენისა, კრედოს საჯაროდ აღთქმა მოსთხოვოს უკვე ჩამოყალიბებულ და ასე თუ ისე ნამუშავარ მოღვაწეს?!

რაც შეეხება იმას, თე რომელი სამშობლოს ბარედ არსებული მიმართულეკა ან ჯგუფი ასცდა ან არ ასცდა ნაციონალურ ხაზს, ამის გარკვევას არ შეეუდეკ, რათგანაც ეს მე არ მეხება და ვისაც ეხება, ისინი თუ დაინახავენ საჭიროდ, თვითონ გაუწევენ ანგარიშს ამ ძმიმე ბრალდებას.

მორს მჭვრეტელ ხელმძღვანელობას მოკლეგული ქართველი ემიგრანტობა დაიყო ჯგუფ-ჯგუფად წინანდელი პარტიების მთლიანობა დაიშალა; საზოგადოებრივი აზრი აღარ არსებობს, გაჩნდა პარტო ჯგუფობრივი ორგანოები. თავისუფალ მოაზრე ქართველს არ შეუძლია მიაწოდოს თავისი ხმა უმუალოდ მკითხველ საზოგადოებას. ნ. ჟორდანიას კი უნდა ეთამაშა სხვა როლი, როგორც მთავრობის სათავეში მყოფს. იუ ოიდიელ უფლეკა დაკარგულს მას უნდა ვაემლი. ორმეგია ხნეოვრივი, ეთიური, სამართლიანობითი სავსე გავლენა, რაც სრულიად მოსპობდა ჯგუფოვრივობას და უაზრო შეხლა-შემოხლას. ამით დაამტკიცებდა ის მართლაც, რომ ერის ნამდვილი მეთაურია და ხელმძღვანელი. ახლა კი არა თუ ერის, ის არც პარტიის წარმომადგენელია. მას ჰყავს თავისი ჯგუფი, ასე ვოქვათ, თავისი ძრეგლი. ამ ჩემს შესედულებას, აზრს სინიდისიერს და მართალს, არ ვძალავდი და არ ვძალავ, რათგან ჭეშმარიტებისათვის მე მხოლოდ ერთი ქისა მაქვს და არა რამდენიმე, როგორც დაეეწყარ ილიას «ოთარაანთ ქვრივს».

და აი ამ თავისი ძრეგლის საწიწკნად ნ. ჟორდანიას სურს ჩემი საქმე გასადოს. ეთითეეს ვითომდა რიტუალის წინააღმდეგ ჩემ მიერ ჩადგნილ დანაშაულოგას. ახლა მიკიჟინებენ, ავტორის დაეკითხავად, ნებადაერთველად რად გამოაქვეყნე, გამოამქეავნე მისი წერილი და პარტიულ ორგანიზაციებსაც არ დაეკითხეო ეგნაური პრეტენზიაა!..ვის გაუგონია,-შეურაცხყოფილი შეურაცხმყოფელს. ცილის დაწამებული ცილის მწამებელს შეეკედროს, ნება მომეცი საკადრისი პასუხი გაგეცე?! «დამხმარე ორგანოებისა» კი უნდა მოგახსენოთ, რომ ყველამ ურემოდაც უწყის, თუ რა დაემართებოდა ჩემს საქმეს, მათთვის რომ ძიმემარია. ეკეთეს შემთხვევაში ნოე ჟორდანია მას კამბაში კაასვეინეგდა და ასე შანასვინეგდა, ან კიდეკ ჩემს საქმეს მის ყურმოჭრილ ორგანოებზედ მიგდებით ისეთ ამბავს აეტეხდა, რომ ძაღლი პატრეხს ვერ იცნობდა. პირიქით, მე მხურდა, რომ ჩემი საქმე გახმაურეულიყო და ყველას შემეტყო, როგორ ექცევიან ჩვენს «ძაღალ წრეებში» თავისუფალ აზრს და თვით მოქმედებას, როდესაც ეს თემცა გარეგნულად არ ეთანხმება «ახლანდელ დიდებულთა» შეხედულებას, მაგრამ ხალხის საკეთე კი აქვს სახეში. მე თუ ვნანობ, მხოლოდ ერთი რამის გამო: მე ვწუხვარ, რომ აქამდის არ მოგვეპოვება არა თუ ყოველდღიური სახოგადოებრივი ბეჭდვითი ორგანო, არამედ ყოველკვირეულიც კი. ეს რომ გვქონებოდა, რასაკვირველია, ჩვენი მიწერ-მოწერა ხოლოდ ასეთ ორგანოში ამოდ ჰყ ეფდა თავს და უსამართლო საქმე უფრო ფართოდ გამოქეყვნდებოდა. ყურმოჭრილი ემეგის და პირის-ფარეშების ფსიქოლოგია კი ვის არა აქვს გათვალისწინებული?! საკითხი, თუ რა მდგომარეობაში აყენებს ერის წარმომადგენელს ნ. ჟორდანია, უბრალო საქმე კი არ არის, არიგი ეხება მთელ საზოგადოებრივობას. მაგალ ალსს. ყველა ფერი უნდა იყოს მზის ხსივეზე. არაფერი ეფარებოდეს საეშეგბელი, რომ ჩვენს სიავ-კეთეს ... ინიერმა ... დისიერმა მოქალაქე-მამულიშვილმა, შინაურმა თუ გარეშემ, ერთნაირად შეადგინოს სამართლიანი აზრი. ჩემი საქმე სახელმწიფოებრივი საკითხია და არა ვიწრო ჯგუფური, თუნდ პარტიული. მე რომ მდომებოდა ჯგუფისა და ორგანიზაციებისადმი ბიმართვა, მეც ჟორდანიასავით მოვიქცეოდი, ავორჩევდი მის გზას. რა შეუმი არიან აქ «დამხმარე ორგანიზაციები»? აქ მეზობლური, ძრეკლური სამსჯავროა კი არ არის საჭირო, არამედ ხელ სხვა რამ. თუ დამჭირდა და საჭიროდ დავინახე, მე თვითონ მოვმებნი ღირსეულ ხალხისაგან შემდგარ ტრიბუნალს, რომლის წინაშე წავაყენებ არა მარტო ჩემ თავს, არამედ იმათაც, რომელნიც ახლა ძსაჯულთა ქურქში გამოხვეულან.

მე მზადა ვარ ყოველთვის პარტიის წინაშე წავრსდგე, თუ რომ პარტიის წინააღმდეგ რამე ჩამიდენია, მაგრამ, ყველამ უწყოდეს, პარტიის წინაშე, და არა ხელოვნურად შექმნილ მორჩილთა ორგანიზაციების წინაშე, რომელთაც არც გავლენა მეუძენიათ და არც ავტორიტეტი არათუ პარტიის გარეშე, არამედ თვით პარტიის ფარგლეგშიაც, ასე რომ ვინ გამოვიდა პარტიის ჩარჩოდან—ეს საკითხი ისე აქვილი გადასაწყვეტი არ არის, როგორც ჭეოენიათ ამ ყამად მოვლენეგულ ეცნაურ ჯგუფის ქურუმეგს.

«მანდატს გიუქმებთ»-ო—ბრძანებთ. თქენ თვითონ კარგად იცით, რომ ეს ლიტონი სიტყვგბია. თქვენი მანდატით არც არავის უსარგებლია და არც არავისათვის არის გამოსადეგი. რაც ეგებავთ. ისა ჰქენით!..თქვენი ხახელით გამოსვლა სრულეკით არ მომსდარა და არც საჭიროკ ყოფილა. 1918 წელს მე გამომეგზავნა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ და ჩამაკარა თავისი მანდატი. ამ მანდატს ვსცემ პატივს და ვემორჩილები და არავითარ უპასუხისმგებლოდ ჯგუფს, წრეს ამ მანდატის გაუქმება არ შეუძლია, სანამ პარტია, ნოომალურ პიროვნებში თავმოყრილი კანონიერად, არ გააუქმებს მას.

ნ. ჟორდანია სათავეში უდგას ემიგრანტულ ყველა პოლიტიკურ ორგანოებს, რომ, როდა დასჭირდება, ხან ერთი წამოაყენოს წინ, ხან მეორე და თვითონ ვერცხლის წყალსავით ხან ერთისაგან გაექანება, ხან მეორისაკენ. აქ უნებლიედ მაგონდება გერმანული ერთი კომიკური პიესის ტიპი-ბოქალაქე. როდესაც, როდა ეკითხებიან: ვინ არის თქვენი ქალაქის თავი, უპასუხებს: მე ვარ; ვინ არის საქვეყნოდ ცნობილ საზოგადოების თავმჯდომარე, ეტყოდა: მე ვარ. შემეკითხეკელი ჩამოსთვლიდა ორგანოთა მთელს რიგს და ყველგან სათავეში მდგომი გამოდიოდა ეს ემირი. ბოლოს შეეკითხენ: ბრანდმეისტრად, ხანძრის მქრობელ რაზმის გამგედ ვინა ეყავს იოე? — არბმეუსრულად ემირმა კიდეკ თავისი თავი დაასახელა. ნ. ჟორდანიას აქამდე ვერ შეუგნია, თე რა ზიანი მოაქვს ასეკარ მეთავსებას ჩვენი საშშობლოსათვის, ჯერ კიდეკ ჩვენი ქვეყნიდან მოყოლმგელი. ნ. ჟორდანია არა ცდილობს ჰამრი განსწმინდოს ემიგრანტულ ერეგბმი, გაამტკიცოს სამართლიანობა, რიგიანობა, კეთილშობილგბა, გახდეს მართლაც ნამდვილი ეროვნული სიმბოლო, როგორც ეკსურდა და ეეჭირდება ჩვენ. ამ სიმბოლოს წინაშე ყველას უნდა მოეწიწებით თავი მოეხარა, თაყვანი ეცა. ყველა ხალხს ჰყოლია ასეთი სიმბოლო, რატომ ჩვენ არ უნდა გაგვაჩნდეს? მაგრამ ტყუილად კი არ არის ნათქვამი: «კეისაგან ნუ გამოელით ბოლოკარკარის ბუდგსა»-ო! ნუ თუ უნდა ვიფიქროთ, რომ მარ ილაც «კოკასა შინა რაცა სდგგს, იგივე წარმოსდინდგბის»? ხმირად გაჩკლავებია იგი თავიის მოპირდაპირეს ეღირსად, არ დაუზოგია. გარეშენი. ახლა მისდგა თავის თანაპარტიელგბსაც. მაგრამ ნურას ეკაცრავად, თუ ახლა მისი ფანდგგი აღარ გაუვა ადვილად, როგორც აქამდე. ნ. ჟორდანიას ჩვეულებრივი ფანდეკის გამოყენებას აღარ აპატიებენ მით უფრო, რომ ცნობილ ამხანაგებს მძიმე ბრალდებები წაეყენა, და ყველაფერს ეზის შექმნდ გამოიტანენ. არავის ამხედრგბა, არავის ეაქებება არ მჭირდება. ეკვით ნ. ჟორდანია ამის თავდეკია. ნ. ჟორდანია თვით ამხედრგბს თავისი მოპირდაპირეების წინააღმდეგ არათუ თავის «დამხმარე ორგანოებს», არამედ სხვა პარტიების ორგანოებს და ცენტრსაც. მაგრამ მრწამა, არ გამჭრალა ჯერ კიკევ მთლად ემიგრანტულ ქართველობაში კეთილშობილეგა, კეთილსინიდისიერეკა, იმედს არ ვკარგავ, რომ ოუ ვისმე მათში მოპირდაპირედ მივაჩნივარ, ჩვენ მორის მოგიქეულად მაინც ნამუსი დარჩა.

ამით ვათავებ თქვენთან ლაპარაკს. თქვენს მოძმარეკაზე პასუხს აღარ გაგეცემთ; ეკანეგ მიიღებთ გაეხსნელად. ისე კი ბეურეთი და მოიდანი თქვენია. გაქვსთ ორგანოები, გახვალთ-გამ ეხვალთ ბეუქნასა, მაგრამ ერთი კი უნდა იცოდეთ, რომ თქვენ მიერ მოქნეულ ლახტს ერთის რომ მე მოგარტყამთ, ოდს თქვენ-ეე მიირტყამთ! თვისუფალი სამშობლო გაგვასამართლებს ჩვენ. მე იმედს არ ვკარგავ, რომ ბოლოკილასსნილი ხალხი დაინახავს ბრალდგეულთა სკამზე იმათ კი არა, ვისაც ახლა სამართლით ემუქრებიან, არამედ იმათ, ვინც ახლა გადმოდგარან დიინჯ-შემოყრილნი მსაჯულთა ქურქში გამოხვეულნი. «ვისაც ყურნი აქვსთ სმენად, ისმენენ»!

გაზეთი „თეთრი გიორგი“ ეღირება:

წლიურად . . . . . 20 ფრანკი.
6 თვით . . . . . 10 ფრანკი.
ცალკე ნომერი . . 2 ფრანკი.

ფული და წერილები უნდა გადმოიგზავნოს შემდეგი მისამართით: M. Dadiani. 4, square du Trocadéro, Paris (16e)

Tél. Passy 45-17

Imp. DUPUIS, 63 bis, rue de Billancourt — Boulogne

Le Gérant: Félix KALDENBACH